კვირა, 4 თებერვალი 1907 წ.

წელიწადი პირველი—№ 25

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. რედაქციის და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება [illegible] დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. [illegible] მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ИСАРИ“.

## ძმათა ნიკიტინების ცირკი.



კვირას, 4 თებერვალს, **ორი დიდი სადღესასწაულო წარმოდგენა.** 1) **დილისა** განსაკუთრებით ბავშვებისათვის და მოსწავლე ახალგაზრდობისათვის. 3 დიდი მოქმედება, დაკლებულის ფასებით. დასაწყისი ნაშუადღევის 2 საათზე. 2) **საღამოს** დიდი წარმოდგენა. გასტროლი ევროპაში გამოჩენილ ველოსიპ დისტების ძმ. ეფიმოვებისა, რომელნიც მალე წავლენ. გამოსვლა **მაღლინა,** რომელიც ფის-გარმონიაზე დაუკრავს არიას ოპერიდან «მარტა». 3 განყოფილება. დასასრულ პირველად დიდი ფეერია **„მთის სული“.** კასსა გახსნილია დილის 11-დან 2-მდე და 5-დან წარმოდგენის გათავებამდე.

**ანონსი:** მოვახერხეთ და მოვიწვიეთ ევროპაში გამოჩენილი ოსმალოს ფაშის მეუღლე.

**დასაწყისი 8½ საათზედ.** გამგე რ. ს. გამსახურდია.

## მმ. სათვარიანცისა და ტერ-სააკოვის

შეკერილ ტანისამოსის

## პარიჟის მაღაზიაში

გოლოვინის პროსპექტზე, ვაჟთა პირველ გიმნაზიის პირდაპირ

დანიშნულია

# საჯარო ვაჭრობა

22 იანვრიდან 10 თებერვლამდე

**ფასები ქარხნისაა და ზედვე დანიშნულია ლურჯი კარანდაშით.**

ტელეფონი № 258. (6—514—4)

## სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა

**ტფილისში**

ქუდმავის საწოლებით

(ელისაბედის ქუჩა, № 79, ტელეფ. № 1026).

მიღება გარედან მოსიარულე ავადმყოფებისა

**მიხეილ აგაჯანოვი:** 11—12 ს. საშაოდე, კანისა და სიფილისი.

**ი. ნ. ეგიაზაროვი:** 11—12 ს. ნერვების, შინაგან ავადმ., წამლობა ელექტრონით.

**გ. ა. ტატევოსოვი:** 12—1 ს. შინაგანი და საბავშვო ავადმყოფობანი.

**ი. გ. ავეტისოვი:** 12—1 ს. ქალისა და ბებიობისა.

**მ. პ. კიმონაძე:** 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურისა.

**პ. ა. ზეიერი:** 1—2 ს. საბავშვო და შინაგანი.

**ი. ნ. თუმანოვი:** 5—6 ს. საღამოთი. ქალისა და ბებიობისა.

სამკურნალოსთან შეიძლება ექიმობა ჰიპნოზით, აგრეთვე მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები შეთანხმებით. დაწოლა შეიძლება საზოგადო პალატაში და ცალკე ნომრებში. (100—ხალ.—20)

## სამკურნალო

**სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის**

ფასი რჩევისთვის 50 კაპ.

**განქის დიდი ქუჩა,** № 5.

ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.

**ექ. ტ. ი. რუდენკო**—შინაგანი სნეულობანი. ხუთშაბათს და კვირას 3—4 ს.

**ექ. ფ. გ. ჩუდნოვსკი**—ქირურგ. სნეულ. ორშაბ. და პარასკევობით 2—3 ს.

**ექ. მ. ი. იანჩევსკი**—ყურის, ყელის და ცხვირის. ოთხშ., პარასკ. და კვირაობით 2—3 ს.

**ექ. ვ. ვ. ვნუკოვი**—ქირურ. და საშარდ. ორშაბ., ხუთშ., შაბათს და კვირას 2—3 ს.

**ექ. ნ. მ. ასპიზოვი**—ყურის, ყელისა და ცხვირის. ორშაბ., სამშაბ. და შაბათს 1—2 ს. ხუთშაბათს და კვირას 12—1 ს.

**ექ. ვ. გ. ზოლოვსკი** — შინაგანი წამლობა შთაგონებით; ყოველ დღე 4—5 ს.

**ექ. ა. ნ. თეთრაძე**—კანისა და ვენერ. ყოველ დღე 1—2 ს.

**ექ. ა. ი. მაგლიცკი.** ქირ. 12—1 ს. ყოველ დღე. კვირაობით 4—5 ს.

**ექ. ა. ა. მონზე**—შინაგანი, ბავშვების, სამშაბათს, ხუთშ., შაბათს 4—5 ს.

**ექ. ა. ტ. როზმაინსკი**—საბავშვო, ოთხშაბ., შაბათს 11—12, პარასკ. 1—2 ს.

**ექ. ნ. ი. ნეუიმინი**—თვალისა, ორშაბ., სამშაბათს, ოთშაბ., შაბათს 11—12 ს.

**ექ. ა. ა. ნოვიცკი**—ქალისა და ბავშვისა, ოთხშაბ. და კვირას 12—1, პარასკ. 1—2.

**ვ. ი. ნნაევ.**—შინაგანი 1—2 ს. სამშ., ოთხშ., შაბ., კვირ.; ქალებისათვის—ორშაბ., ხუთშაბ. 1—2 ს., პარასკ. 12—1 ს.

**ექ. ზ. ფ. ნევზოროვა** — კბილისა, ყოველ დღე 11—5.

**ექ. მ. ი. გოროდცევა.** მასსაჟი 11—4 ს.

**ექ. კ. მ. პივარსკი**, **ექ. გ. ი. ჩუდნოვსკი** — კლინიკური ანალიზი.

**ექ. გ. ი. ოსობკო**—საექიმო გიმნასტიკა, მასაჟი, ელექტრიზაცია 4—6 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—ნ.—47)

ექიმი

**ვ. ს. მუსხელიშვილი**

მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (ოვ.)

კბილის ექიმი

**ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (0—26)

## ქალის სამკურნალო

სპეციალისტ ექიმებისა.

ოლგას ქუჩა № 35.

ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე.

**ექ. მაზმანოვი**—ნერვებისა და ელექტრო-წამლობა და ჰიპნოზი. 9—10 ს.

**ექ. მელიქ-ეგანათოვი**—ვენერიული, კანისა და საშარდე 9½—11 ს.

**ექ. რამენდიკი**—შინაგანი 10½—11½ ს.

**ექ. ზაგრჟევსკი**—ქალისა და საბებიო 11—12 საათამდე.

**ექ. ქალანთაროვი**—თვალისა 1—2 ს.

**ექ. გიგოლაშვილი**—ქირურგიული 12—1 ს.

**ექ. მარცინკევიჩი**—ბავშვისა 12—1 ს.

**ექ. შერმიზერი**—ყელისა, ყურისა და ცხვირისა 1—2 ს.

**ექ. გამბურგერი**—ქიმ. მიკრ. და ბაქტ. გამოკვლევა შარდისა, სისხლისა, ნახველისა და სხვ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით.

**სამკურნალოში შეიძლება მასაჟი.** (100—89)

ექიმი

**ბ. ნ. მაგაკიანი**

იღებს ავადმყოფებს შინაგან და ბავშვებისას სპეციალური ექიმია **კუჭისა და ნაწლავებისა.** ძიღება დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს. მიხეილის პროს., № 36, სახ. ჰავჰანიძისა (25—22)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი

**მიხეილ გედევანიშვილისა**

იღებს ავადმყოფებს დილის 12—1 ს., საღამოობით 6—7 საათ. ვერაზე, ყორღანოვის ქუჩა, საკ. სახლი № 20. ტელეფ. № 791. (წლ.—36)

**ქალ. სიღნაღში**

**ექიმი ა. ა. ბალაშვილი**

1 თებერვლიდან იწყებს ავადმყოფების მიღებას, ნ. მირინაშვილის სახლში, ფოსტის ქუჩაზედ. (24—509—7)

ექიმი

**ა. ნ. დიასამიძე**

**კანისა და ვენერიული.** დილით 9—10 ს., საღამოობით 6—8. ყორღანოვის ქუჩა № 14.

**ლაქტო-ბაცილიანი რძე**

მზადდება თანახმად პროფ. მეჩნიკოვის დარიგებისა პროვიზორ

## ა. ს. კლემანსკის

ქიმიკო-ბაქტერიოლოგიურ კაბინეტში

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.

ტელეფონი № 389. (100—51—64)

## გამგეობა

**ტფილისის მოსამსახურეთა ურთიერთ-დამხმარე საზოგადოებისა** აცნობებს, რომ:

1) საზოგადოების კანტორა ღიაა ყოველ დღე დილის 9 საათიდან დღის 2 საათამდე და 5-დან 8-დე საღამოსი;

2) იწვევს ყველა ამხანაგებს გამოცხადდნენ კანტორაში და ჩაეწერონ საზოგადოების წევრებად;

3) ერთდროული საწევრო შესატანი ერთი (1) მანეთი და ყოველთვიური 2½% ჯამაგირიდან;

4) კანტორა იმყოფება სასახლის ქუჩაზე, სათავად აზნაურო ქარვასლაში. (7—523—1)

**ვამზადებ** ყმაწვილებს პირველ დაწყებით სასწავლებლებისათვის. მსურველთ ვთხოვ მიმართონ ამ ადრესით: პარალელნი ქუჩა, სახლი ვლადიმირ პეტრ. გარცევისა (4—1)

**ტფილისის სამარხი კასის საზოგადო**

## კრება

კვირას 11 თებერვალს დილის 11 საათზედ **დანიშნულია ტფილისის სამარხი კასის საზოგადო კრება** ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში. ფრეილინის ქუჩაზე.

კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი საგნები:

ა) განვლილ ორი 1905 და 1906 წლის ანგარიში.

ბ) ორი გამგეობისა და სამი სარევიზიო კომისიის წევრებისა და მათი ნაცვლების არჩევა.

გ) გამგეობის მოხსენება: წევრთა ხვედრი გარდასახადის დაგვიანების შესახებ.

დ) გარიცხული წევრების ხელ-ახლა მიღების შესახებ.

და ე) სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა 1907 წლისათვის და კასის სხვა და სხვა საჭიროების შესახებ.

თუ ვინიცობაა 11 თებერვალს არ მოგროვდა კანონიერი რიცხვი წევრებისა, მაშინ მეორე და უკანასკნელი კრება დანიშნული იქნება კვირას 18 თებერვალს. რამდენიც უნდა დაესწროს მეორე კრებას წევრი, მაინც კანონიერად ჩაითვლება.

გამგეობის წევრნი: **ი. ნ. მერკვილაძე, შიო ქუჩუკაშვილი, ნიკო ბერიშვილი.**

(4—521—1)

**ავლაბრის თეატრი**

კვირას, 4 თებერვალს, 1907 წ.

დრამატიულ ხელოვნების მოყვარულთაგან წარმოდგენილი იქნება

## თამარ ბატონიშვილი

ისტ. დრამა 5 მოქ. კ. მესხისა.

## ორი მშიერი

ვოდევილი 1 მოქ. აწყურლისა.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

გამგე **„არტო“.**

გადმოთარგმნილ ე. **ზოლას წიგნი**

## ქვა-ნახშირის მაღაროებში

(„Углекопы“).

ვინც მოისურვებს ამ წიგნის გამოცემას, მას შეუძლიან გაიგოს ამის შესახები პირობები „ისრის“-ს რედაქციაში. (2—უ.—1)

## ამხანაგობა

ვეძებ სინიდისიან და პატიოსან ამხანაგს საწვრილმანო და საყასბოს დუქანში. ვაგზლის ქუჩაზე, № 7. ინფენჯიანცის ქარხნის პირდაპირ.

(1—525—1) **ზაქარ ლლვიძე.**

### ტფილისი, 4 თებერვალი.

მკითხველს უეჭველია ეცოდინება, რომ უკანასკნელ ხანებში რუსეთის მსხვილმა კაპიტალისტებმა შეერთებულის ძალღონით სცდილობენ, გამოგლიჯონ მუშა ხალხს ხელიდან ის მცირე გაუმჯობესება მათის ცხოვრებისა და მუშაობის პირობებისა, რომლებიც მათ ორი წლის თავ-განწირულის ბრძოლით შეიძინეს. ამ აზრით ფაბრიკანტებმა დაარსეს თავის წრის ხალხის კავშირი და ერთმანეთს შველიან ლოკაუტის და სხვა შემავიწროვებელ ღონისძიებათა განსახორციელებლად. ამ ჟამად ფაბრიკანტებმა ლოკაუტი გამოაცხადეს ლოძის რამდენსამე ფაბრიკაში და დიდ-ძალი მუშა დასტოვეს ქუჩაში ულუკმა-პუროდ შიმშილისა და სიცივის მსხვერპლად.

ჩვენში, როგორც კაპიტალიზმის აზრივ ჩამორჩენილს ქვეყანაში, მაინც და მაინც არც დიდ-ძალი მუშა მოიპოვება და არც ბევრი ფაბრიკა და ქარხანა. უმეტესი წილი ჩვენებური ქალაქების მშრომელის ხალხისა წარმოადგენს ხელოსნებს, რომელნიც მათი მუშაობის პირობათა მიხედვით გაფანტულები და ერთმანეთს დაშორებულნი არიან. მათ შესახებ ლოკაუტის განხორციელება თითქმის შეუძლებელია, მაგრამ სამაგიეროდ მათი უსაქმოდ დატოვება თითქოს თავის თავად ჰხდება იმის გამო, რომ ყველა ჩვენებური პატარა კაპიტალის პატრონი დაშინებულია მოძრაობის ტალღებისაგან და თავის ჩვეულებრივ საქმიანობას ახლა გვერდს უქცევს.

ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენებურ ხელოსნებისათვის, რომელნიც უსაქმოდ რჩებიან და დღითი დღე უფრო და უფრო ღრმად იფლობიან სიღატაკის მორევში. ამ ორიოდე დღის წინად ჩვენს გაზეთში მოთავსებული იყო ბ. თოიძის წერილი, რომელიც აღნიშნავს სწორედ ამ მდგომარეობას თბილისის საზოგადოების ამჟამინდელ ხელოსნების შესახებ. ბ. თოიძე სწერს, ორი წელიწადია ეს ხელოსნები «უსაქმოდ არიან და სული ეხუთებათო». ამ სიტყვებს რომ ფარდა ავხადოთ, ჩვენ თვალ წინ წამოიჭიმება საშინელი სურათი შიმშილობის, სიცივის, უბინაობის, უსუფთაობის, ავადმყოფობის, ლოთობის, გარყვნილების და სიღარიბის სხვა ატრიბუტებისა. ბ-ნი თოიძე სამართლიანად ჰგოდებს ასეთ მდგომარეობის გამო და მოიწოდებს თბილისის ხელოსნებს შეერთებულის ძალღონით დასძლიონ გაჭირვება, დასძლიონ ჩვენებური პატარა კაპიტალისტების შიში მოძრაობის წინაშე და გააბედინონ, ხელახლა მოჰკიდონ ხელი თავის საქმიანობას.

აშკარაა, ბ-ნი თოიძე ფულის პატრონთა ინტერესებზე არა ზრუნავს, აშკარაა, ის მხოლოდ ხელოსანთა გაუკუღმართებულ მდგომარეობის გამობრუნებაზე ზრუნავს, მაგრამ ეს მზრუნველობა ამასთანავე წარმოადგენს ჩვენებურ კაპიტალისტთა ინტერესებზე მზრუნველობას. კაპიტალისტების და ხელოსნების (მუშების) ინტერესთა წინააღმდეგობა უტყუარი ფაქტია. მაგრამ ამ წინააღმდეგობის გამომხატველ ბრძოლასაც თავისი საზღვარი აქვს და თუ ეს საზღვარი გადაცილებულ იქმნა უდროოდ, საეჭვოა, რომ ამის გამო უფრო ხელოსნებმა და მუშებმა არ იზარალონ, ვიდრე კაპიტალისტებმა. თუ როგორც ბ-ნი თოიძე მოგვითხრობს, თბილისის ხელოსნებს ორი წელიწადია, რაც უსაქმობა უხუთავს სულს, უეჭველია, რომ საქმის ასე დატოვება შეუძლებელია და ხელოსნებმა მართლა უნდა იზრუნონ. მუშაობის ასაღორძინებლად. რაც შეეხება იმფორმას, რომელშიაც უნდა გამოიხატოს ეს მზრუნველობა. მუშაობის და ხელოსნების მხრივ. აქ თვით ხელოსნების ხმას უნდა ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა; ჩვენის აზრით კი ისეთი ბიუროს დაარსებას, რომელსაც ბ-ნი თოიძე ურჩევს ხელოსნებს, სამუშაო არტელების დაარსება ემჯობინებოდა. არტელს უფრო მეტი ნდობა აქვს და უფრო მეტი ასპარეზიც გასავითარებლად და თავის წევრთა უზრუნველსაყოფელად.

### არჩევნები სახელმწიფო სათათბიროში

### ჩვენში

**ტფილისი.** ტფილისის საგუბერნიო საარჩევნო საქმეთა კომისიას სხდომა ჰქონდა 2 თებერვალს და განიხილა შედეგი ტფილისის ამომრჩევლების არჩევისა. კომისიამ, თუმცა სცნო, რომ საარჩევნო უბნებში პარტიებმა უკანონობა ჩაიდინეს, მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვსო და არჩევნები დაამტკიცა. როგორც დანამდვილებით შევიტყვეთ, რ. ს. დ. მ. პარტიამ გადასწყვიტა ტფილისის დეპუტატად ამოირჩიოს არშაკ გერასიმეს ძე ზოსაბიანცი. ზორაბიანცი რამდენისამე წლის წინად ტფილისის ქალაქის გამგეობის სამშენებლო განყოფილების საქმის მაწარმოებლის თანაშემწედ იყო.

**ქუთაისი.** ს.-დემოკრატებს ჯერ-ჯერობით არ დაუსახელებიათ საბოლოოდ სათათბიროში გასაგზავნი კაცები; როგორც ლაპარაკიდან სჩანს, კაკი წერეთლის და გურიის ამომრჩევლის გრ. მახარაძის კანდიდატურა აუცილებელია, ხოლო მესამე კანდიდატად ასახელებენ ორ კაცს—ბუდუ მდივანს და გრიგოლ ლორთქიფანიძეს. განხეთქილება „ბოლშევიკებსა“ და „მენშევიკებს“ შორის ს.-დემოკრატიულ პარტიაში დღითი-დღე მწვავდება და ეს გარემოება და ისიც, რომ გაზეთმა „მნათობმა“ ალტაცებით არ მოიხსენია ჩვენი ს.-დემოკრატების წარმომადგენელნი, დიდად შეუშლის ხელს ბ-ნ მდივანს, რომელიც „ბოლშევიკთა“ ფრაქციას ეკუთვნის და ამიტომ მოსალოდნელია, რომ მესამე კანდიდატად ბ-ნი ლორთქიფანიძე დაასახელონ.

**ქ. თელავი.** 28 იანვარს მოხდა ქალაქის მცხოვრებთაგან ერთის ამომრჩევლის არჩევანი. ვიდრე თვით არჩევნებს შევეხებოდე, არ შემიძლია უყურადღებოდ დავტოვო არჩევნებისთვის მზადება და აგიტაცია. აგიტაციას ეწეოდა სამი პარტია: ს.-დემოკრატები, ს.-ფედერალისტები და დაშნაკელები. სამივეს ცალ-ცალკე კანდიდატები ჰყავდა წამოყენებული. თუმცა არ მინდოდა აგიტაციას შევხებოდი, არ მინდოდა გამომეცლავნებინა ზოგიერთთა საქციელი და ძალმომრეობა, მაგრამ ძალა უნებურად მიხდება ეს; ხომ მოგეხსენებათ, პატრონმა ჰირი მალა, ჰირმა თავი არ დამალაო, და რადგანაც ეს დამალული აღარაა, დეე მკითხველმაც გაიგოს.

რაც ქალაქის თვითმართველობამ ბიულეტენები გადასცა პოლიციას ჩასაბარებლად, ხმა გაავრცელეს, ვინც არ მიიღებს და 28-ში დაწერილს არ მიიტანს, დააჯარიმებენო. ამას პარტიები ერთმანეთს აბრალებენ, მაგრამ ეს არაფერი. რადგან რეაქციის გამო ხალხი შიშით წელში მოიკაკვა, ამიტომ ამ ხმაზე ბაზრის ხალხმა განუწყვეტლივ იწყო სიარული პოლიციაში ბიულეტენების მისაღებად. როცა ესენი უკან ბრუნდებოდნენ ბაზრის მისავალში ეს დეკების აგენტები იწვევდნენ და სთავაზებდნენ, თქვენ ხომ რუსული წერა არ იცით, ვისაც გინდათ დაგიწერთო, და თავიანთ კანდიდატსკი უწერდნენ; ვისაც აქ ვერ გააბამდნენ, იმას იმავე მიზნისთვის კონდიტერში ჩაიზე ეპატიჟებოდნენ. რადგან თითო ამომრჩეველს ორ-ორი ბიულეტენი დაურიგეს, სახლებში დაიწყეს სიარული, თითოზე თავის კანდიდატს უწერდნენ და მეორეს-კი ართმევდნენ. ამნაირად ბევრი ბიულეტენი შეიძინეს და გამოიყენეს კიდეც. მართალია, დაშნაკელებიც მუშაობდნენ სახლებში, მაგრამ, როგორც განაცხადეს, ამათი დაწერილი ბიულეტენები ეს-დეკელებს ჩამოერთვათ და თავიანთი მიეცათ. ეს კიდევ არაფერი. როგორ ძალმომრეობას ხმარობდნენ ეს-დეკების აგენტები ბაზარში, თქმასაც კი ვერა ვბედავ. ამათ ჩამოიარეს ბაზარი, შედიოდნენ დუქნებში და ჯერ სთხოვდნენ ჩაეწერათ ესა და ეს კანდიდატი, ამაზე თუ უარს მიიღებდნენ, მაშინ ეუბნებოდნენ, თუ ჩვენ კანდიდატს არ ჩასწერთ, ბოიკოტს გამოგიცხადებთ. რასაკვირველია, ბევრს შეეშინდებოდა, აქ პროკლამაციაში ხულიგანად არ დამწერონო, და აასრულებდა იმათ სიტყვას. ვინც გაუჭირვეულდებოდა, იმას სიკვდილით დაემუქრებოდნენ. ამავე დროს თუ სხვას შეამჩნევდნენ აგიტაციას, იმას ტერორით ემუქრებოდნენ. პარტია მოვალე იყო, ყურადღება მიექცია ამათთვის და აელაგმა მათი საქციელი, რითაც დაიცავდა თავის ღირსებას.

დადგა არჩევნების დღე—28 იანვარი. ამ დღეს ეს-დეკების აგენტებმა ქუჩები შეჰკრეს და გაუჩხრეკელად არას უშვებდნენ. თუ თავის საკბილოს ჩაიგდებდნენ, იჭერდნენ, უსინჯავდნენ ბიულეტენს და თუ თავიანთი კანდიდატი არ აღმოჩნდებოდა, ართმევდნენ და დამზადებულ ბიულეტენს აჩეჩებდნენ ხელში. თუ ნებით არ აჩვენებდა, ძალით ართმევდნენ. ერთ მუშას შემოეხვივნენ და ისე გაუჭირეს საქმე, რომ ტირილი დააწყებინეს.

ეს დეკების მხრივ კანდიდატად წამოყენებული იყო ხელოსანი ამონაშვილი, ს. ფედ. მხრივ ვახვახიშვილი და დაშნაკელების მხრივ სალათელოვი. ეს ორი უკანასკნელი ინტელიგენტია. ბ-ნი სალათელოვი თუ არა ყოფილიყო წელს დასახელებული, უეჭველია ეს-დეკები სომეხს დაასახელებდნენ, რათა სომხებს იმისთვის მიეცათ ხმა, როგორც შარშან. წელს-კი ხელოსანი ქართველი, დაასახელეს აგიტაციის გულისთვის. ბაზრის ხალხს, ე. ი. სომხებს ეუბნებოდნენ, რად გინდათ სომეხი ან ქართველი. ჩვენ მუშა უნდა გავგზავნოთ, რათა ჩვენი—მუშის საქმე დაიცვასო, ქართველებს-კი: სალათელოვი სომეხია, ვახვამიშვილი თავადი, ისევ შენი ყადრი კაცი გაგზავნე ამას რა სჯობიაო. არჩევნების დროს ს.-

დემოკრატების აგენტები მრავლად დადიოდნენ და ვისაც დაწერილი არა ჰქონდა ბიულეტენები, ეუბნებოდნენ, ფულს ხომ არა გთხოვთ, დაგიწერთო, და თავის კანდიდატებს-კი უწერდნენ, იმის და მიუხედავად, რომ ამომრჩეველს სხვა ჰსურდა ... აი, ასეთ აგიტაციას ეწეოდნენ, არა, უკაცრავად, აგიტაციას კი არა, ძალმომრეობას ხმარობდნენ ჩვენი სახელოვანი და მძლეთა-მძლე ესდეკები. შეიძლება აქ პარტია არაფერ შუაშია და აგენტები თვითნებობდნენ და აჭარბებდნენ, მაგრამ მათთვის პარტიას ამისი ნება არ უნდა მიეცა და ერთი კანდიდატის გაყვანის გულისათვის წინანდელი მოპოვებული პრესტიჟი არ უნდა დაეკარგნა, ხალხის თვალში არ უნდა დაცემულიყო. თუმცა ეს ერთის მხრივ კარგია. მეორე დღეს მთელი ბაზარი იმათზე ლაპარაკობდა და ბრაზ-მორეული იძახდა, ეხლა კი გავიგეთ, ვინცა ყოფილან და რათ ლაპარაკობდნენ ასე ფედერალისტებზე და დაშნაკელებზეო. აქამდე უტყუილებიათ ჩვენი თავი, ეხლაც უნდოდათ, მაგრამ ველარ გაიყვანესო.

დილის 9 საათიდან დაწყებული საღამოს ცხრამდე იღებდნენ ბიულეტენებს, ქუთათურად სხვის მაგივრადაც მიდიოდნენ, მაგრამ სცნობდნენ და უკან აბრუნებდნენ. დილიდან საღამომდის განუწყვეტლივ მიდიოდა ხალხი სასამართლოში, სადაც არჩევნები იყო დანიშნული. აგიტაციის წყალობით კუტი, ბრმა, კოჭლი ავადმყოფი, ზოგი ხელით მიჰყავდათ, ზოგი მარხილით.

მეორე დღეს დილითვე დაიწყეს ბიულეტენების შემოწმება.

კენჭის ყრაში მონაწილეობა მიიღო 730 კაცმა. ყველაზე მეტი ამონაშვილს ამოუვიდა (363 ხმა), და ის იქმნა არჩეული.

**ამომრჩეველი**

## რ უ ს ე თ შ ი

(დეპეშათა სააგენტოსაგან)

**მოსკოვი.** მოსკოვის საგუბერნიო ამრჩევლების კრებაზე (ზოგიერთ მაზრებში ხელ-ახალ არჩევნების მეოხებით) მემარჯვენეთა ერთი ხმით გადაჭარბება (?) უზრუნველ ყოფილია. მემარცხენენი გავლენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გლეხები და მუშები მათ მიემხრენ.

**პეტერბურგი.** ქარხან - ფაბრიკების რწმუნებულებმა 14 ამრჩეველი აირჩიეს ყველანი სოც.-დემ. არიან.

**არჩევნები იმ ქალაქებში, რომელთაც სახ. სათ. საკუთარი წარმომადგენელი ჰყავთ.** 80 ამრჩეველთაგან ქ. ასტრახანში 46 კონ.-დემ., 21 სოც.-დემ., 10 მონარქისტი, 2 უპარტიო მემარჯვენე, 1 სოც.-რევ.,

ვილნოში 27 პოლონელი, ზომიერი პროგრესისტი და სხვა რჯულის (?) და 33 ებრაელი კონ.-დემ.,

ეკატერინოსლავში 21 სოც.-დემ., 15 კონ.-დემ., 12 შრომ. ჯგუფისა, 5 ებრაელ.-სოც. და 27 უპარტიო მემარცხენე.

ყაზანში 45 ოქტომბრისტი, 5 პრავოპორიად., 7 უპარტიო მემარჯვენე, 38 კონ. დემ.,

კიშინევში 33 მემარცხენე, კონ. დემ. თანამოაზრე, 47 მონარქისტი, იმათაგან 37 რუსის ხალ. კავშირისა.

სარატოვში 75 შრომ. ჯგუფ. და 5 კონ. დემ.

ტფილისში 54 სოც. დემ. და 26 დაშნაკც.

ტულაში 40 ოქტომბრისტების და მონარქისტების ბლოკისა და 40 მშვიდ. განახ. და კონ. დემ. ბლოკისა.

იაროსლავში 75 კონ. დემ. და მათი თანამოაზრე.

ვორონეჟში გავიდნენ ყველა მემარცხენეები.

160 ამრჩევლებისაგან ქ. მოსკოვში ყველანი კონ. დემ. პარტიისანი არიან.

**პეტერბურგი.** გრადონაჩალნიკმა არჩევნების საგუბერნიო საკრებულოში პროტესტი შეიტანა მღ. გრ. პეტროვის საარჩევნო სიაში შეტანის თაობაზე. გრადონაჩალნიკი პროტესტს იმით ასაბუთებს, რომ მღ. პეტროვი პეტერბურგის პოლიტეხნიკუმის მასწავლებლად უკვე აღარ არის. პროტესტი უყურადღებოდ დატოვებულ იქმნა, რადგან პეტროვი სიაში მოჰხვდა, როგორც სახლის დამქირავებელი და არა, როგორ სამსახურის კაცი.

**პეტერბურგი.** სენატმა განმარტა, რომ ბერებსაც აქვთ საარჩევნო უფლება, თუ მათი მდგომარეობა საზოგადო საარჩევნო ცენზის მოთხოვნილებას დააკმაყოფილებს. 1 თებერვალს სენატმა გაარჩია ვ. მ. პურიშკევიჩის საჩივარი. პურიშკევიჩი ბესარაბიის საგუბერნიო საამრჩევლო კომისიას უჩიოდა, რადგან ის ქ. აკერმანის ამრჩეველთა სიიდან ამოშალეს. სენატმა საჩივარი არ დააკმაყოფილა, რადგან პურიშკევიჩის აკერმანის მაზრაში ბინადრობა ვერ დამტკიცდა.

**ოდესსა.** სახ. საბჭოში ამრჩევლად აირჩიეს ნოვოროსსიის უნივერსიტეტის პროფესორები მედვედევი, მელიკოვი და ივანოვი—პროგრესისტები.

**პეტერბურგი** 2 თებერვლამდი არჩეულ 5778 ამრჩევლებიდან 1382 მონარქისტია, 881 ზომიერა, იმათგან ოქტომბრისტი 449 და მათი თან მოაზრე 49, სულ მონარქისტები და ზომიერები 2263 ანუ 39%; მემარცხენე 42%, იმათგან კონ. დემ. 620, მათი თანამოაზრე 159, სოც. დემ. 278, ნაციანულურ პარტიისა 461, უპარტიო 384, უცნობი 241.

კურიებად ამრჩევლები ასე განაწილდებიან: გლეხები 2348, იმათგან მონარქისტი 703 ანუ 30%, ზომიერი 300 ანუ 13%, მემარცხენე 843 ანუ 36% ნაციონალისტი 137 ანუ 6%, უპარტიო 237 ანუ 10%, უცნობი 128 ანუ 5%. მემამულეები 1799, იმათგან მონარქისტი 589, ზომიერი 465, მემარცხენე 410, ნაციონალისტი 203, უპარტიო 74 უცნობი 58.

მოქალაქეები 1449, იმათგან მონარქისტი 89, ზომიერი 113, მემარცხენე 1026, ნაციონალისტი 105, უპარტიო 65, უცნობი 51.

მუშები 182.

ამ რიცხვში შეტანილი არაა იმ ქალაქების ამრჩევლები, რომელთაც სახ. სათათბ. საკუთარი წარმომადგენლის ყოველი უფლება აქვთ.

**სამარა.** კონ. დემ. და სოც. რევ შეთანხმდენ. კონ. დემ. აქვთ 4 და სოც. რევ. 3 ხმა.

**ვორონეჟი.** ოპოზიციონურ პარტიების ბლოკში 7 ადგილი გლეხებსა აქვთ 2 კონ. დემ. და 1 სოც. რევოლიუციონერებს.

## ახალი ამბავი

✦ **ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი.** ტფილისის გენერალ-გუბერნატორის დადგენილებით ტფილისის გუბერნიაში აეკრძალა ცხოვრება რკინის გზის ტეხნიკურ სასწავლებლის ყოფილ მოწაფეს მიხეილ ივანეს ძეს ორჯონიკიძეს და ტფილისის მოქალაქეს გრიგოლ პოლიანსკის. ვიატკის გუბერნიაში იგზავნებიან 5 წლის ვადით სპარსეთის ქვეშევრდომები—საფარ მანუკიანცი და სარქის ტანტულოვი, ნებადაურთველად რევოლვერების შენახვისათვის. ტფილისის საგუბერნატოროში დაბრუნების ნება მიეცა ადმინისტრატიულად გადასახლებულს აწყურის მცხოვრებელს ფაზაილა ალიოღლის. სამის თვით დატუსაღება და შემდეგ ვოლოგდის გუბერნიაში 2 წლით გადასახლება გადაეწყვიტა პროკლამაციების შენახვისათვის სოფ. საგარეჯოს მცხოვრებელს ზაქარია ვარსიმოვს. 50 მან. ჯარიმა, შეუძლებლობის გამო, ერთის თვით დატუსაღებით შეეცვალა ქ. გორის მოქალაქეს გიორგი ზალიკანოვს.

✦ **საქველ-მოქმედო საზოგადოება.** პარასკევს, 2 თებერვალს, უგ. კნ. თ. დ. გრუზინსკის თავმჯდომარეობით მოხდა კრება ქართველ საქველ-მოქმედო საზოგადოების დამფუძნებლებისა. კრებას მოხსენდა, რომ ადგილობრივმა ადმინისტრაციამ დაამტკიცა ამ საზოგადოების წესდება და რომ საბოლოოდ ლეგალიზაციისთვის ადმინისტრაცია მოითხოვს გამგეობის არჩევას. ამიტომ დამფუძნებლებმა დროებითი გამგეობა აირჩიეს და დაავალეს მას მოკლე ხანში საზოგადო კრების მოწვევა წევრების მისაღებად და საზოგადოების საბოლოოდ ორგანიზაციისათვის. დროებით გამგეობაში არჩეულ იქმნენ: თავმჯდომარედ უგ. კნ. თ. დ. გრუზინსკისა, თავმჯდომარის ამხანაგად—ტფ. მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. პ. ი. თუმანიშვილი, წევრებად—კნ. მ. ვ. ჯამბაკურიან-ორბელიანისა, ვ. ი. რცხილაძე, ა. გ. ჯაბადარი, გ. მ. ლასხიშვილი და ი. ს. ღულაძე. საზოგადოების თანხა 27 ათას მანეთს აღემატება. წესდებას ამ დღეებში გავაცნობთ მკითხველთ.

✦ **ექ. შატილოვის დათხოვნა.** გაზეთ „ჩერნომორ“-ის სიტყვით, ბათუმის გუბერნატორის ბრძანების თანახმად სამსახურიდან დაუთხოვნიათ ბათუმ ს ქალაქის საავადმყოფოს ორდინატორი ექ. ალ. შატილოვი. მიზეზი ის არისო, რომ ბ. შატილოვი არა-ლეგალურ პარტიის წევრიაო (ს.-დ.)

✦ **მკვლელობა.** გუშინ, 3 თებერვალს, გამოურკვეველ მიზეზისა გამო, მოჰკლეს ვერის დაღმართზე სასტუმრო „ბერლინის“ პატრონი ანდრია გრიგოლის ძე ხუნდაძე, მცხოვრები ოზურგეთის მაზრის სოფელ ჩოხატაურისა. მოკლული ხუნდაძე დილით სასტუმროდან გამოსულიყო ბაზარში; დილის 9½ საათზე დაბრუნებულიყო ისევ თავის სასტუმროში; შესავალში უკანიდან წამოსწეოდა ვიღაც ბოროტ-გამზრახველი, რომელსაც სამჯერ დაეხალა რევოლვერი. ხუნდაძეს ტყვია თავში მოხვედრია და იქვე რამდენისამე წუთის შემდეგ გარდაიცვალა. მკვლელი დაეშვა ვერის დაღმართისაკენ; მას გამოუდგნენ პოლიციელები, მაგრამ მკვლელმა მოასწრო „კალიუჩი ბალკის“ ხევში ჩასვლა. როცა მკვლელი აღმართში ადიოდა, გაღმიდან პოლიციელებმა რამდენჯერმე ესროლეს თოფები, მაგრამ ააცდინეს.

✦ **თავდასხმა.** 1 თებერვალს, პოლიციის მესამე ნაწილში, რუსის ქუჩაზე, ნაშუადღევის სამ საათზე, რამდენიმე შეიარაღებული კაცი შეუვარდა ამ ქუჩაზე მცხოვრებ ვაჭარს ზაგრატ ზაზიევს და მოუნდომეს გაძარცვა. მძარცველებმა ზაზიევს რამდენჯერმე ტყვია დაახალეს და იქვე მოჰკლეს. შემდეგ დაუფათურდნენ ნივთებსა და ფულს, მაგრამ ... რობაზე ხალხი შეიყარა და ზაზიევის ბინის გაძარცვა უცნობებმა ველარ მოახერხეს. უცნობები მიიმალნენ.

✦ **ფერშლების კრება.** ათს თებერვალს, საღამოს 7 საათზე, ქალაქის ცენტრალურს საავადმყოფოში (მუხრანის ქუჩაზე) დანიშნულია ახლად დაარსებულის ფერშალთა საზოგადოების კრება. განსახილველი საგნები: 1) განხილვა და დამტკიცება საზოგადოების წესდებისა, 2) არჩევა გამგეობისა და 3) ინსტრუქციის შემუშავება გამგეობის წევრთათვის.

✦ **დარაჯის მოკვლა.** ბოქაულად ნამყოფ ლოლაძის სახლთან, 3 თებერვალს, ნაშუაღამევის 3 საათზე, ვიღაც უცნობები მიუცვივდნენ ღამის დარაჯს, ესროლეს და მოჰკლეს. მკვლელები მიიმალნენ.

✦ **სახალინიდან გაქცეული.** ტფილისის მაზრის საპოლიციო დარაჯებმა ამ დღეებში დაიჭირეს და მაზრის სამართველოს წარუდგინეს კუნძულ სახალინიდან გამოქცეული სოფელ თონეთის მცხოვრები კიკაშვილი, რომელიც კაცის მოკვლისათვის ყოფილა გადასახლებული.

✦ ამას წინად ადმინისტრატიულ წესით არხანგელსკის გუბერნიაში გადაასახლეს სიღნაღის მაზრის მცხოვრები მიხეილ ჟღენტი. ამ დღეებში იგი უკანვე ჩამოიყვანეს და საგუბერნიო საპატიმროში ჩასვეს. პოლიცია ჟღენტს აბრალებს რაღაც მეორე საქმეს, რისათვისაც იგი უნდა გადაიყვანონ სიღნაღის მაზრის საპატიმროში, ადგილობრივ საქმის გამოსაძიებლად.

✦ საბურთალოზე, მდინარე ვერის იქით, პოლიციელებმა 30 იანვარს ყელ-გამოჭრილი კაცის გვამი ნახეს. მოკლული აღმოჩნდა ტფილისის მცხოვრები პეტრე რომანის ძე ვისოჩკინი. ამ მკვლელობაში ეჭვი მიიტანეს ვინმე ალექსანდრე გროდსკიზე, რომელიც უკვე დააპატიმრეს.

✦ ტფილისის საყასბოს გამგემ ბ-ნ ვართანიანცმა ამ დღეებში შეატყობინა ქალაქის გამგეობას, რომ იგი ველარ იკისრებს პასუხის მგებლობას საყასბოს სამიკროსკოპო განყოფილებისას. როცა გამგეობა შეეკითხა, თუ რა მიზეზით იშორებს პასუხის მგებლობას, ბ. ვართანიანცმა აცნობა, რომ აღნიშნულ განყოფილებაში პირადის ანგარიშებისა გამო ეს რამოდენიმე ხანია უსიამოვნება ჩამოვარდა მოსამსახურე პირთა შორის და იმდენ გამწვავებამდე მივიდა, რომ განყოფილებიდან დამსახურებული ქალი ქ-ნი კობახიძისა გააძევესო. საყასბოს გამგე ქალაქის გამგეობას მოახსენებს, სამიკროსკოპო განყოფილებაში რომ

## ფელეტონი

### ტუსაღის ფიქრები

ბნელ კედლებს შუა გამომწყვდეულსა
არ მომდის ოდნავ თვალებზე რული,
მტარვალთ წინ უდგას და არა დრკება
გაკაჟებული ტანჯული გული.

არა, არ ვდრკები და არც მაშინებს
მურდალი ხელი ჯალათებისა,
მათი წამება წარბს ვერ შემიხრის,
დრო დაგვიდგება გათენებისა.

დეე, დამტანჯონ, წამების ჯვარი
აღმართონ მაღლა გოლგოთაზედა,
სიცილ-ხარხარით მივეგებები,
სირბილით ავალ მე იმ მთაზედა.

იქ მოუთმენლად მელოდებიან
ამხანაგების გამხმარი ძვლები,
მივალ ვუამბობ თავისუფლებას
და იმათ საფლავს შემოვევლები.

და იმ დრომდის კი, ოთხ კედელ შუა
გავსალკლდევდები, ვით რკინის გრდემ-
[ლი...
სახრჩობელას თუ თავისუფლებას
გულის სიმტკიცით ორთავეს ველი.

**ნედი.**

## NOCTURNO

როდესაც ცაზე მოსცურავს ნელა
ღამის გუშაგი ბადრი მთოვარე
და შეუშფოთველს განიცდის ძილსა
მით მოხიბლული არე და მარე,
როს ველად დაჰქრის ცელქი ნიავი,
ნანინას უმღერს მძოფლიოს ტკბილსა
და წასჩურჩულებს ცბიერად ყურში
მომხიბლავს ზღაპარს ადამის შვილსა;

—

როს სძინავს ყოველი, სძინავს თვითონ
მარად მებრძოლი, დაუდეგარი, [ზღვაცა—
და მთელს სამყაროს არ სცემს შიშის ზარს
მისი რისხვის ხმა მჭექარ-მედგარი,
როს ბუმბერაზ მთას ქურდულად ნელა
ჩადრსა ხვევს თავზე ღამის წყვდიადი
და იმორჩილებს, ჰბორკავს გოლიათს
უცნაურ ძალით წამი დიადი;

—

როს თითქოს არ სცემს სიცოცხლის მაჯა,
აღარ სძგერს გული, არ შფოთავს სული,
მკვდრად არს გონება... არ აღელვებს მას
არც მტრობა-შური, არც სიყვარული...
როს ადამიანს ჩვეულებრივად
თვალწინ არ უდგას კითხვა წყეული:
თუ რად არსებობს, ან რისთვის სცხოვრობს
ცა-ხმელეთს შუა მარტოდ ეული?..

—

მე მაშინაც ვჭვრეტ უკვდავ ბუნების
შემოქმედობის განუწყვეტლობას
და მის გარეგნულს უძრაობაში
კვლავ ახალ ძალთა შთანაჩენობას
და, იმავე დროს გონების, თვალით
განვსჭვრეტ შორეულს რა მომავალსა,
წამს გამიტაცებს იმედი ტკბილი,
და სულ სხვა ჰანგზე ვაჟღერებ ჩანგსა...

—

დაე, დაინგრეს, დაიმხოს ერთად
რაც ადამიანს გარს ახვევია...
დე, დაჰკრას მეხმა, მილეწ-მოლეწოს,
რაც რომ დასამხობ დასანგრევია...
გავერანებულს ცხოვრების ველზე
კვლავ გაჩაღდება ცეცხლი დიადი
და ნანგრევებზე დროშას აღმართავს
ახალ ცხოვრების მუნ განთიადი.

—

მაშ რას უყურებს, რად იგვიანებს
და არ მოსწყდება ცას ქარიშხალი?!
ოჰ, მალე, მალე დაჰქროლე ქარო,
შთაგვბერე უძლურთ ახალი ძალი
და შენც ტანჯულო, ადამის შვილო,
მაღლა ასწიე ამაყად თავი
და მიესალმე ახალს ცხოვრებას
ვით პიროვნება თავისუფალი.

**ლადო ახობაძე.**

### მოსამსახურის დაქირავება *)

ოქტავ მირბოხი

(თარგმანი)

(დასასრული *)

მოსამსახურეთა დასაქირავებელ კანტორაში თითქმის ყველაზე უფრო საბრალო შთაბეჭდილებას ერთი მებაღე ახდენდა. ყველაზე დაღონებული და შეწუხებული სანახაობა იმასა ჰქონდა. მხოლოდ ოთხი თვე გავიდა მას აქეთ, რაც მებაღე დაქვრივდა,—ცოლს მუცელი მოეშალა და სწორედ წინა დღეს მოკვდა, როდესაც ცოლ-ქმარი კარგ ადგილზე მდიდარ მამულში უნდა დამდგარიყვნენ: ქმარი—მებაღედ და ცოლი—მეძროხედ.

უბედობა, თუ დაღლილობა და სიცოცხლის ზიზღი იყო მიზეზი, მაგრამ მებაღემ ამ უბედურობის შემდეგ ადგილი ველარ იშოვა და არც ძალიან სცდილობდა ეშოვნა... ყველაფერი, რაც შემონახული ჰქონდა, ჩქარა დაეხარჯა უსაქმობის დროს. როგორღაც ერთხელ მიამბო მან თავის ცხოვრების უბრალო, მაგრამ საშინელი დრამა.

—

ცოლ-ქმარმა დაათვალიერა ბაღი, ტალავარები, ორანჟერეები, სეროთი და ველურის ყურძნით სრულიად შებურვილი მებაღის სადგომი სახლი. შემდეგ სიტყვის უთქმელად, რაღაც იმედით და შიშით, ნელის ნაბიჯით გაემართნენ პაწია მინდვრისაკენ. გრაფის ცოლი იჯდა იქ და სიყვარულით ადევნებდა თვალს თავის პაწია, ქერა, ყირმიზა და ჯან საღ სამ ბავშვს, რომელნიც მომვლელ ქალთან თამაშობდნენ ბალახში. ცოლ-ქმარი მოწიწებით გაჩერდა ოცი ფეხის ნაბიჯზე; მებაღემ მოიხადა ქუდი და დაიჭირა ხელში. მისი ცოლი შალის შავ კაბაში გამოწყობილი, როგორღაც დარცხვენით იცქირებოდა თავის შავი ჩალის ქუდ ქვეშ და შეჰკრთალი ატრიალებდა ტყავის პაწია ქისას ჯაჭვს.

მწვანე, ხშირ ტყეს შორს გაეშალა თავისი მწვანე, შიგა და შიგ პაწია ხავერდის მინდვრებ ჩართული, კალთები.

— აბა... მოდით ახლოს! — მიმართა მათ გრაფის ცოლმა გამამხნევებელის ღიმილით.

მამაკაცს გარუჯული, გაშავებული სახე და დიდრონი დაკორძებული, მიწის ფერი ხელები მუდამ ჰქონდა; დამახინჯებულ ხელის თითებს პრიალი გაჰქონდათ საბაღოსნო იარაღის მუდამ ხმარებისაგან. დედაკაცს უფერული ჭორფლიანი სახე ჰქონდა; ცოტათი მოუხეშავის შესახედაობისა, მაგრამ სუფთად და ლამაზად ჩაცმული იყო. იგი ვერა ბედავდა შეეხედა მშვენიერ ქალისათვის, რადგან ელოდა იმის მხრით დაურიდებელ, სულისა და გულის შემაძრწუნებელ, მწარე კითხვებს. საბრალოს ვერ მოეშორებინა თვალები ბალახებში მოთამაშე მშვენიერ ბავშვებისაგან, რომელთაც უკვე შეესწავლათ ნაზი და თავდაჭერილი ქცევა.

ისინი წყნარად მიუახლოვდნენ რამდენისამე ნაბიჯით და ერთისა და იმავე მეხანიკურის მოძრაობით, ორივემ დაიდო ხელები ჯვარედინად მუცელზე.

— მაშ როგორ?—დაეკითხა გრაფის მეუღლე,—ყველაფერი დაათვალიერეთ?

— თქვენო ბრწყინვალებავ, ძალიან კეთილი ბრძანდებით...—მიუგო მებაღემ:—ყველაფერი ძალიან ლამაზია... ბაღი ასე დიდია! საუცხოვო მამულია... დიადი, აქ სამუშაო საკმაოა.

— წინ და წინ გეუბნებით, რომ მე საქმის ძალიან კარგად ასრულებას ვთხოულობ... სამართლიანი ვარ, მაგრამ რაც შეეხება საქმეს, ამას-კი ვთხოულობ. მიყვარს, როცა ყველაფერი მშვენიერის წესრიგით სრულდება და რომ ბევრი ყვავილები იყოს... ყვავილები... ყოველთვის... ყველგან ყვავილები... მაგრამ თქვენ ხომ ორი თანაშემწე გეყოლებათ ზაფხულში და ერთი ზამთარში. ეს საკმაოა...

— ო!—მიუგო მებაღემ.—მუშაობა მე არ მაშინებს. რაც მეტია სამუშაო, მით უფრო კმაყოფილი ვარ. მიყვარს ჩემი ხელობა და ვიცი კიდევაც... ხეების მოვლა, ადრე გამოყვანა, ყვავილების მოზაიკა და სხვა ამგვარები... რაც შეეხება ყვავილებს კი... ამისთანა მძლავრი ხელებით, გემოვნებით, წყლით, კარგი სათბუნებელით და, უკაცრაო პასუხია, თქვენო ბრწყინვალებავ, ნეხვითა და ნაკელით, რაც გნებავთ—ყველაფრის მოყვანა შეიძლება.

ცოტა სიჩუმის შემდეგ მან განაგრძო:

— ჩემი ცოლიც ძალიან მშრომელი, ყოჩაღი და თავიანი დედაკაცია... შესახედავად ლონიერი არ არის, მაგრამ, სამაგიეროდ ზარმაცი არ არის, არასოდეს არ ავადმყოფობს და საქონლის მოვლა, ასე კარგად არავინ იცის. ჩვენ ადგილზე სამი ძროხა და ორასი ფრთა ქათამი იყო... აი!

გრაფის ცოლმა სიამოვნებით დაუქნია თავი.

— თქვენი სადგომი სახლი მოგეწონათ?

— ო, სახლიც მშვენიერია... ჩვენისთანა ღარიბ ადამიანებისათვის დიდიც კია, ერთობ დიდი... ავეჯი არც კი აგვითავდება. მაგრამ უნდა ვიცხოვროთ იქ, სადაც საჭიროება მოითხოვს... მერე კიდევ სახლი მოშორებით არის სასახლესაგან... ეს ასედაცაა მიღებული. ბატონებს არ უყვართ მებაღეები თვალებში ეჩხირებოდეთ. ჩვენც გვეშინია, არ შევაწუხოთ... ამნაირად კი ყველა თავის ოჯახში გრძნობს თავს... და ყველასათვის უმჯობესია. მხოლოდ...

*) მახურ ქალის დღიურიდან.

*) იხ. „ისარი“ № 23.

წეს რიგი ჩამოვარდეს, საჭიროა მოსამსახურეთა შტატის განახლებაო.

✦ ავჭალის ქუჩაზე, „რუსეთის სავაჭრო ამხანაგობის" საწყობებში 3 თებერვალს ღამით შეპარულან ქურდები და გაუტანიათ 700 მანეთის ღირებულობის მატყლი.

## ქუთაისის ქრონიკა

✦ ამას წინად ზუგდიდის მაზრის მცხოვრებელნი სამი ძმა უბირია შეიპყრეს და ცარცვა-გლეჯას აბრალებდნენ. საქმე გადასცეს სამხედრო საველე სასამართლოს, რომელსაც ძმანი უბირია გაუმართლებია. ამ ნაირივე განაჩენი გამოუტანა სამხედრო საველე სასამართლომ ზუგდის მაზრის მცხოვრებთ კორძაიას და ფუთკარაძეს; გენ. გუბერნატორმა დასახელებულნი პირნი თავის უფლებით გადაასახლა ვიატკის გუბერნიაში.

✦ გენერალ გუბერნატორის განკარგულებით ვიატკის გუბერნიაში იგზავნებიან ადმინისტრატიული წესით შემდეგი პირნი: ოზურგეთის მაზრის მცხოვრებნი—ლომთათიძე და ხომერიკი, რაჭის მაზრისა—დიმ. ხუციაშვილი და ვ. ტყეშელაშვილი.

✦ 30 იანვრისთვის დანიშნული იყო ვაჭართა და ნოქართა კრებანი ცალ-ცალკე. პირველნი შეიკრიბებოდნენ საურთიერთო საზოგადოების დარბაზში, ხოლო მეორენი ქალაქის გამგეობაში. ვაჭრებმა და ნოქრებმა უნდა აერჩიათ თხუთმეტ-თხუთმეტი წარმომადგენელი იმ კომისიაში, რომელმაც უნდა განიხილოს სამინისტროს კანონ-პროექტი სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებაში მოსამსახურეთა შესვენების შესახებ.

✦ გუბერნატორის კანცელარიის გამგეთ დაამტკიცეს პოლპორუჩიკი პოკორსკი.

✦ გუბერნატორს დაუჯარიმებია 22 სახლის პატრონი ოც-ოცი მანეთით, რადგან მათ დაურღვევიათ სავალდებულო დადგენილება ქუჩის ფარნით განათების შესახებ.

✦ არჩევნების დღეს დაატუსაღეს ძმ. გოგიელთვის ნოქარი ქებაძე და, როგორც ამბობენ, ადმინისტრატიული წესით გადაასახლებენო. ერთი ძმა შეპყრობილი ქებაძისა უკვე გაგზავნილია ჩრდილო გუბერნიაში.

✦ სასტუმრო „კოლხიდის" პატრონი გუბერნატორს დაუჯარიმებია 200 მანეთით იმისთვის. რომ მის სასტუმროში თავ შესაფარი უპოვნია დეზერტირ დორთქიფანიძეს.

## პრესსა

საცოდავი ჩვენი ს.-დემოკრატები! უცნაურ გაჭირვებაში ჩაავდო ისინი ტფილისში გამარჯვებამ: ლამის არის გასწეწონ სხვა და სხვა ჯურის შოვინისტებმა. ქართველები თავისაკენ მიიწევენ, სომხებიც მოითხოვენ—სომეხი უნდა გაგზავნოთ დეპუტატთო. დამეთანხმებით, რომ უცნაური გაჭირვებაა „ინტერნაციონალურ" პარტიისათვის. დიდის მეცადინეობით უნერგავდა ჩვენი ს.-დემოკრატია ყველას იმ აზრს, რომ იგი ნაციონალისტური პარტია არაა და ამიტომ იწვევდა ყველას თავის დროშის ქვეშ; მაგრამ დახეთ უკუღმართ ბედს: თურმე არავის სერიოზულად არ მიუღია ეს „ლოზუნგი" და გათავდა თუ არა „საქმე", მეორე დღესვე, თავი ამოყო ამ „ვერაგმა ნაციონალურმა საკითხმა". ს.-დემოკრატიას მაგრად ეწიკავებიან მისი „ბურჟუაზული მეგობრები" და დახმარებისათვის გასამრჯელოს მოითხოვენ: არა, ქართველი გაგზავნეთ,—არა, სომეხიო... ასე იქნება თუ ისე დღეს კი დაიძვრენენ თავს ს.-დემოკრატები, მაგრამ შემდეგში როგორღა მოუყრიან ერთ დროშის ქვეშ სხვა და სხვა „ბურჟუაზულ მეგობრებს"? ვაი თუ „ინტერნაციონალური" პოზიცია საკენკად აღარ გამოდგეს მეორედ?!.

ამ უცნაურ „ისტორიაში" ყველაზე უფრო საინტერესო „ტიფ. ლისტოკ"-ის პოზიცია არის. ო, „ტიფ. ლისტოკმა" ყოველთვის კარგად იცოდა, где раки зимуютъ!.. ამ ორი-სამი კვირის წინ ტფილისში ბევრი ჰკითხულობდა გაოცებით: „ბიჭოს,—ეს ხაჩატუროვები როდის და რისთვის გასოციალ-დემოკრატდნენ"?! ცოტა არ იყოს, მართლა გასაკვირველი იყო: სად „ტიფლისკი ლისტოკი"—ეს ყოველთვის იდეურ მიმართულებასთან და პრინციპებთან მწყრალი გაზეთი—და სად „პროლეტარიატის პარტია". ცოტა არ იყოს, ძმათა ხაჩატუროვებს არ უხდებოდათ „ინტერნაციონალური მანტია". მაგრამ ახლა აღმოჩნდა, რომ აქ „ტონკი რასჩოტის" საქმე ყოფილა. ჩვენ, „ტუტუცი ვირცები", აბა საიდან მივხვდებოდით—სადაა დამარხული ძაღლის კუდი. არჩევნებამდე „ინტერნაციონალის" წითელი მანტია, არჩევნებს შემდეგ—пожалуйте по счету. ეს ბისმარკისებური „პატიოსანი მაკლერობაა" და წვრილ მატყუარა ვაჭრის ოინი არ გეგონოთ. მით უმეტეს, რომ „ტიფ. ლისტოკ"-მა საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ იგი ს.-დემოკრატიას მხარს უჭერს, როგორც ინტერნაციონალურ პარტიას, ხოლო, თუ ახლა სომხის გაგზავნას თხოულობს სათათბიროში, ეგ მხოლოდ ს.-დემოკრატების სასარგებლოდვე, რომ ამათ არავინ დასწამოს ნაციონალისტობა... საბრალო ჩვენი ეს-დეკები იძულებულნი არიან გადაყლაპონ ეს დამამცირებელი უნდობლობაც და მისგან „ტიფლისკი ლისტოკს" გარანტია, რომ ისინი მართლაც ინტერნაციონალისტები არიან, ნამდვილი სოციალისტები და არა შოვინისტები ვილაც ქართველ ავტონომისტებსა და ფედერალისტებსავით...

A propos, ერთი ვერ გაგვიგია კარგად,—ამ ფედერალისტებს რას ჩააცივდა „ტიფლ. ლისტოკი"? საზოგადოთ, მეტის-მეტად შეიძულეს ფედერალიზმი „ტიფლ. ლისტოკი"-ს ხაზეინებმა და არ იქნება ურიგო ცოტათი გაფრთხილდნენ: უცბათ რომ აიწიოს ბაზარზე ფედერალიზმის ფასმა, მაშინ სახტად არ დარჩნენ „პატიოსანი მაკლერები"... რაც შეეხება კერძოთ ს.-ფედერალისტებს, ამათ ჩვენი დაცვა არ სჭირიათ (ისიც „ტიფ. ლისტოკისაგან"), მაგრამ ერთი შენიშვნა მაინც: სიცრუეს ბრძანებს გაზეთი, ვითომც ფედერალისტების პარტიამ მონაწილეობა მიიღო არჩევნებში და სოც.-დემოკრატებს მისცა ხმა; ხოლო თუ რომელიმე ფედერალისტმა კერძოთ მიიღო მონაწილეობა და ს.-დემოკრატიის კანდიდატების ბიულეტენი ჩააგდო საარჩევნო ყუთში, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მებრძოლ პარტიებში ს.-დემოკრატიას უფრო დამსახურებულ პარტიად სთვლიდა ალბად ხალხის წინაშე და არა იმ „ტონკი რასჩოტით", რომლითაც სოლოლაკის ნაფიცნი ყმანი ხელმძღვანელობდნენ თურმე. ს.-ფედერალისტებისთვის **სრულებით სულერთია**: ვინ იქნება ტფილისის წარმომადგენელი სათათბიროში—ბ. შაუმიანი თუ ბ. რამიშვილი, რადგან ს.-ფედერალისტებმა კარგად იციან, რომ ორთავენი „სრულიად რუსეთის ს.-დ. მ. პარტიის" წარმომადგენელნი იქნებიან, პარტიის პროგრამის დამცველნი, ც. კ-ის დირექტივების აღმსრულებელნი; ს.-ფედერალისტები სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგნი არიან იდეურად და სრულიად არ შეუშინდებიან იმას, **იანცი** იქნება გაგზავნილი სათათბიროში თუ **შვილი**; ამ გარემოებამ მხოლოდ „ტიფლ. ლისტოკი" დააფრთხო იმდენად, რომ დროებით აღლი ხელიდან გააგდებინა და (horribile dictu) წითელი დროშა დააკავებინა...

## პროვინციის ცხოვრება

**კახეთი**. არა ერთხელ დაგვიწერია ყარაჯალელებსა და ფშაველებზე. ყარაჯალა-კაპანახჩა თათართა სოფლებია კახეთში და მდებარეობენ ორივე ერთად თელავიდან 5—6 ვერსის სიშორეზე, ალაზნის მარჯვენა ნაპირზე, გაღმა მხრის ს. ფშაველის გამოსწვრივ. დავა ყარაჯალელებსა და ფშაველებს შორის, როგორც ვიცით, დიდი ხანია დაიწყო. მიზეზი მამულია სოფელ ფშაველის ბოლოში. სადავო საქმემ იწყო მოგზაურობა ერთი დაწესებულებიდან მეორეში, მეორიდან—მესამეში; ერთი მოხელის ხელიდან მეორეში გადავიდა, მეორიდან—მესამეში და დასასრული არ უჩანდა. რაც თათრები ამ მამულის დავაზე მომცდარან და ფული დაუხარჯავთ, ამაზე დიდს თუ არა, იმოდენა მამულს მაინც თამამად იყიდდნენ. არც ფშაველის მცხოვრებთ დაუკლიათ იაფად დავის უკან დევნა და საქმის წარმოება. ამ ბოლო წლებში საქმე ძალიან გამწვავდა ორ სოფელ შორის და ასე თუ ისე დავას აუცილებლად ბოლო უნდა მოღებოდა.

ამისათვის ამ დავის თაობაზე ტფილისიდან მოვიდა მთელი კომისია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო მაზრის თითქმის ყველა საიანადო დაწესებულების უფროსებმა, ადგილობრივ გამოიკვლიეს საქმე და ფშაველის სასარგებლოდ გადასწყვიტეს, მხოლოდ ყარაჯალა-კაპანახჩასაც არგუნეს 200 დესეტინა. ასეთის გადაწყვეტილებით არც ერთი მხარე არ დარჩა კმაყოფილი და ორივემ საქმე გადაიტანა ტფილისის საგუბერნიო საგლეხო საქმეთა საკრებულოში, რომელსაც ამ ცოტა ხანში განუხილავს ეს საქმე და მთელი მამული ს. ფშაველისათვის უკუთვნებია.

ეს ასეც უნდა ყოფილიყო, მამული ფშავლისაა. რამდენადაც ფშაველის მცხოვრებნი არიან გახარებულნი საქმის ასე გადაწყვეტით, იმდენად ყარაჯალა-კაპანახჩის თათრები არიან დაღონებულნი. მთელი ოთხასამდე კომლი უმიწაწყლოდ დარჩა მშრალზე; საით წავიდნენ, როგორ მოიქცნენ, რომ არსებითი პური მოიპოვონ? წინააღმდეგ რომ გადაწყვეტილიყო საქმე, მაშინ კიდევ ფშაველის მცხოვრებნი ჩაცვივდებოდნენ ამ დღეში.

ყარაჯალა-კაპანახჩის მცხოვრებთა ასეთ უნუგეშო მდგომარეობას ყურადღება მიაქცია თელავის მაზრის თავ.-აზნაურთა წინამძღოლმა და სცდილობს როგორმე უშველოს და ამ გაჭირვებულ მდგომარეობიდან გამოიყვანოს. მარშალმა რამდენჯერმე დაიბარა ორივე სოფლის წარმომადგენელნი მოსალაპარაკებლად. ბევრი ილაპარაკეს, ბევრი იფიქრეს, მაგრამ კახეთში არც ერთი დესეტინა თავისუფალი ადგილი არ აღმოჩნდა, ზოგმა განაცხადა ჭიაურში (სიღნაღის მაზრა) არის თავისუფალი ადგილებიო, მაგრამ დანამდვილებით არ იციან. ამ ორ სოფლის მცხოვრებთა ზოგი ნაწილი უარზეა, სად უნდა წავიდეთ, ამ მიწაზე დავბერებულვართ, ოფლით მოგვირწყვია და ეხლა თავს ვერ დავანებებთ და სადამდისაც კი შეიძლება მივყვებითო. ესენი საქმის სენატში გადატანას აპირობენ.

როგორც საქმეს უყურებთ, რასაკვირველია ამ უკანასკნელთა ცდა ამაოა, ხ[illegible] დევ ბევრი მოუვათ და საქმით კი ვერაფერი რამე გამოვიდეს, მაგრამ თუნდა ეს ასეც მოხდეს, მაშინ კიდევ [illegible] გაუხდებათ თავში საქმე [illegible]

როგორც ვიცით, [illegible] ბა სხვაგანაც ბევრია და საკვირველია ამის შემდეგ როცა სხვა მხრიდან ჩვენში ასახლებენ, თითქოს მკვიდრთ-კი თავ-საყრელად ჰქონდეთ მიწა-წყალი.

## პატარა ფელეტონი

პოლიტიკური აღზრდა ყლეხთა ბავშვებისა.

(თარგმანი)

ჩვენი მთავრობა ერთ წამსაც თავს არ ანებებს თავის «განმანათლებელ» მოღვაწეობას.

ამ მხრივ, განსაკუთრებით შესამჩნევია უფრო მთავრობის მიერ ხალხის პოლიტიკური აღზრდა. უკანასკნელს ორს წელიწადს, უსწავლელმა, ბნელმა გლეხმა «განვლო» ისეთი პოლიტიკური სკოლა, რომელსაც სხვა ერები განიცდიან ხოლმე ათ-ათი წლობით.

ამ ხნის განმავლობაში რა არ გაიგო სახელმწიფო მეხანიზმს დამორებულმა გლეხმა?

მაგრამ ჩვენი მთავრობის «პედაგოგები» ამითაც არა კმაყოფილდებიან. იმათ გადასწყვიტეს თავს იდონ ბავშვების განათლებაც.

აი, გაზეთ: «Отголоски жизни»-ს ერთ-ერთ ნომერში მოყვანილია საყურადღებო ფაქტი, რომელიც ასურათებს ჩვენი «ბისმარკების» «ახალ» პედაგოგიურ სიბრძნეს:

ქალაქ ტარომჩის მცხოვრებთ ხელ-ახლა მიეცათ შემთხვევა ეცქირნათ შემდეგ აუტანელ სურათისათვის.

«აი, ციხის გარშემო დაწანწალებს 13 ბავშვი შეგირდი სოფელ ყიდივსკო-გრებლის ერთ კლასიან სამინისტრო სკოლისა, რომლებიც მოსულან ფეხ-მიშვლები, ჯოხებით ხელში და ცდილობდნენ პირის-პირ ენახათ მაზრის უფროსი, რათა მას შემწეობა გაეწია ვისთანაც ჯერ-არს, მიეშვათ ბავშვები თავიანთ საყვარელ მასწავლებელ ბ. პაშუტინსკის სანახავად, რომელიც დამწყვდეული იყო 11 აპრილიდან... გამლიერებულ დაცვის დებულების ძალით.

ბავშვები სიცილით გამოისტუმრეს,—მაზრის უფროსი შინ არ არისო. შეგირდები ჩამოსხდნენ ბულვარზედ ციხის პირდაპირ. ბავშვი თვალებიდან ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდათ. ნაღვლიანი, მწარედ დაღონებული თვალები მიაპყრეს ციხის სარკმელს...

ცნობის მოყვარე გამვლელ-გამომვლელნი ხანდის-ხან წაელაპარაკებოდნენ ხოლმე იმათ რამდენიმე წამს და შემდეგ შორდებოდნენ ძალზედ ნერვებ აშლილები...

ბიჭუნებმა ერთმანეთში მოაგროვეს რამდენიმე კაპეიკი. იყიდეს ცოტაოდენი სურსათი თავის «საყვარელ მისათვის». ციხეში, როგორც იყო, შეუშვეს,

---

მებაღე დაჩუმდა შემკრთალი, ეტყობოდა რაღაც უნდა ეთქვა და უმძიმდა.

— მხოლოდ... რა?—დაეკითხა გრაფის მეუღლე ცოტა სიჩუმის შემდეგ, რომელიც კიდევ უფრო აცხოველებდა კაცის უხერხულობას.

მებაღემ კიდევ უფრო მოუჭირა ხელი ქუდს და დაკორძებულის თითებით დაუწყო ტრიალი. ბოლოს გაბედა.

— ის, რომ, აი... მე მინდოდა მომეხსენებინა თქვენ ბრწყინვალებისათვის, რომ ჯამაგირი მუშაობასთან შედარებით ერთობ ცოტაა. ძალიანაც რომ ძოინდომოს, თავს ვერ გაიტანს კაცი... თქვენო ბრწყინვალებავ, საჭირო კია ცოტა მოგვიმატოთ...

— თქვენ გავიწყდებათ, ჩემო მეგობრებო, რომ გეძლევათ ბინა, შეშა, სანთელი... რომ შეგიძლიანთ ისარგებლოთ ბოსტნეულობით და ხილით, რომ კვირაში თორმეტ კვერცხსა და დღეში თითო ლიტრა რძეს გაძლევთ... ეს საკმაოა, ზედ-მეტიცაა.

— აა! თქვენ ბრწყინვალება გვაძლევს კიდევ კვერცხს, რძეს... სანთელს?

მებაღემ შეხედა ცოლს, თითქოს რჩევას ეკითხებოდა და თანაც ბუტბუტებდა:

— დიაღ! ეს კიდევ კარგია... უნდა ვთქვათ... რომ არა უშავს რა...

ქალმა დარცხვენით წარმოსთქვა:

— რასაკვირველია... ეს ძალიან დაგვეხმარება...

შემდეგ ორთოლვით წარმოსთქვა:

— გრაფის მეუღლე უეჭველია დღესასწაულებზე საჩუქრებსაც გვიბოძებს...

— არა, არაფერს.

— საჩუქრები ყველგან არის მიღებული.

— მაგრამ ჩემსას არ არის.

— ცხოველებისათვის... წავისა და კვერნის ტყავისთვის?—დაეკითხა ქმარი.

— არც იმათთვის არაფერს... იმათ ტყავებს გიტოვებთ თქვენ.

წარმოთქმული იყო ყველა ეს მშრალის, გადაწყვეტილის ხმით და შემდეგ აღარავითარი თხოვნა და მუდარა აღარ შეიძლებოდა...

— მე თქვენ კიდევ გეუბნებით წინდაწინ და სამუდამოდ,—დაუმატა უცებ გრაფის მეუღლემ,—რომ არასოდეს არ მოგცემთ ნებას ან გაყიდოთ, ან აჩუქოთ ვისმე ჩემი ბოსტნეულობა. მე ძალიან კარგად ვიცი, რომ უნდა დაითესოს და გაიზარდოს ბევრად იმაზე მეტი, რაც საჭიროა, თორემ არ გვეყოფა... სამი მეოთხედი: საზოგადოდ, ლპება ძირად. მაგრამ რა გაეწყობა! მე მსურს რომ დალპეს...

— რასაკვირველია... როგორც ყველგან არის მიღებული.

— მაშ, ჩვენ მოვრიგდით? რამდენი ხანია დაქორწინებულნი ხართ?

— ექვსი შეგვისრულდა,—მიუგო ცოლმა.

— შვილები არა გყავთ?

— გვყავდა ქალი... მოგვიკვდა!

— მადლობა ღმერთს! ძალიან კარგი უქნია...—უდარდელად წარმოსთქვა გრაფის მეუღლემ.—მაგრამ ორივენი ახალგაზრდები ხართ... შეიძლება კიდევ გეყოლოთ...

— არასოდეს არ არის სასურველი, ქალბატონო, მაგრამ რას იზამს კაცი! ას ეკიუს ისე ადვილად ვერ მოიგებ წელიწადში, როგორც ბავშვს...

გრაფის მეუღლის თვალებმა მკაცრი გამომეტყველება მიიღო:

— მე წინდაწინვე უნდა გითხრათ, რომ არავითარ შემთხვევაში არ მსურს ჩემ ბაღში ბავშვები იყვნენ. თუ შვილი გეყოლებათ, იძულებული ვიქნები, მაშინვე დაგითხოვოთ... არა, არ არის საჭირო ბავშვები!.. ყვირიან, ყველაფერში ეჩრებიან, ყველაფერს ახდენენ...ცხენებს აფრთხობენ და გადამდები სენიც შემოაქვთ... არა, არა, არაფრის გულისათვის არ შემოუშვებ სხვის ბავშს ჩემს ოჯახში! მაშ, ახლა თქვენ წინდაწინვე იცით ჩემი აზრი ამის შესახებ: მოახერხეთ, როგორც გინდათ... იხმარეთ ზომა...

ამ დროს ერთი მოთამაშე ბავშვი დაეცა; მან ტირილით მიირბინა დედასთან და თავი კალთაში ჩაუდო. დედამ აიყვანა ბავშვი და ჩაიკრა გულში, ეფერებოდა და ათასნაირ სასიყვარულო სიტყვებით ელერსებოდა; ბოლოს ნაზად აკოცა და დამშვიდებული, გაცინებული ბავშვი გაუშვა სხვებთან. მუშა ქალის გული მტკივნეულად შეიკუმშა... ძლივს შეიმაგრა ყელზე მობჯენილ მწარე ცრემლები. მაშ, სიხარული, ალერსი, სიყვარული, დედობა მხოლოდ მდიდრებისათვის ყოფილა?

ბავშვები ისევ თამაშობდნენ... მაგრამ ამ წუთის შემდეგ საცოდავ ქალს შესძულდა ისინი საშინელის, ველურის სიძულვილით; უნდოდა ელანძღა, ეცემა, დაეხრჩო და აგრეთვე გაელანძღა და ეცემა ამ გათახსირებულ, ბოროტ დედაკაცისათვის. ამ ბოროტმა თავის—კერძო დედამ ხომ საზიზღარის სიტყვებით სიკვდილი მიუსაჯა მთელ იმ მომავალ კაცობრიობას, რომელსაც უბედურ ღარიბ ქალის არსებაში სთვლემდა... მაგრამ მან თავი შეიკავა და გრაფის მეუღლის დაბეჯითებით მოთხოვნილებაზე მარტივად უპასუხა:

— ჩვენ მივაქცევთ ამას ყურადღებას, ქალბატონო... ვეცდებით...

— ძალიან კარგი... ეს ჩემი მუდმივი მოთხოვნილებაა... ჩემი პრინციპია... პრინციპი, რომელსაც არასოდეს არ ვულალატებ.

შემდეგ გრაფის მეუღლემ თითქმის ალერსიანად დაუმატა:

— ამასთან, დამერწმუნეთ, უმჯობესია საწყალ კაცს სულ არა ჰყავდეს შვილები.

მებაღემ, რომ ესიამოვნებინა ახალ ქალბატონისათვის, განაგრძო:

— სრული ჭეშმარიტებაა... სრული ჭეშმარიტება... თქვენო ბრწყინვალებავ, მართალს ბრძანებთ.. მაგრამ სიძულვილს გრძნობდა იმისი გულიც. საშინელის, ველურის ცეცხლით გაიელვა საწყალი კაცის თვალებმა. ეს იყო სრული უარის ყოფა იმ მონურის ცრუობისა, რომელიც მან უკანასკნელად წარმოსთქვა. გრაფის მეუღლემ ვერ შენიშნა ეს... გრაფის მეუღლის თვალები უნებურად დააშტერდა დედაკაცის მუცელს, რომელსაც ამ წუთში უნაყოფობა ანუ შვილის მკვლელობა მიუსაჯა.

ჩქარა მორიგდნენ. გრაფის მეუღლემ კიდევ მისცა რამდენიმე რჩევა და დაწვრილებით აუხსნა ყველა სამუშაო, რომელსაც თავის ახალ მოსამსახურეებს ავალებდა; ბოლოს, წასვლის ხანს, დიდებულის ღიმილით, ისეთის კილოთი, რომ უარის თქმა არ შეიძლებოდა, დაუმატა:

იმედია, რომ თქვენ ღვთის მლოცველები ხართ... ჩემი მოსამსახურეები ყველანი ეკკლესიაში დადიან... მე ვთხოულობ ამას...

ცოლქმარი ჩუმად უკან წამოვიდნენ, დაღვრემილნი და გულმოკლულნი. გზა მტვრიანი იყო და სულის შემხუთავი ცხელი ჰაერი ტრიალებდა; საბრალო დედაკაცი ნელა მოლოლიალებდა, ძლივს მოათრევდა ფეხებს, ბოლოს სულ-მოხუთული შეჩერდა, თავისი ქისა მიწაზე დადო და კორსეტი გაიხსნა.

— უჰ!—აღმოხდა მას გულიდან და შემსუბუქებულმა ხარბად, ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი.

დიდი ხნის მოწყურული მუცელი გაიწია და შემრგვალებული შესახედობა მიიღო, რაც უტყუარად ამტკიცებდა ახლო მომავალში იმის დედობას, დანაშაულობას...

ცოლქმარი ისევ გაუდგა გზას.

ცოტა სიარულის შემდეგ შევიდნენ დუქანში და მოითხოვეს ერთი ბოთლი ღვინო.

— რატომ არ უთხარი, რომ ორსულად ვარ?—ჰკითხა ცოლმა ქმარს.

— აბა, როგორ არა!—მიუგო ქმარმა,—რომ ჩვენც უწინდელივით გავეგდეთ?..

— დღეს თუ ხვალ, სულ ერთი არ არის..

—შენ რომ კარგი ცოლი იყო,—კრიჭა-შეკვრით წაიბუტბუტა ქმარმა:—წახვიდოდი დღეს საღამოსვე ბებერ უჩოლოსთან... იმისთანა ბალახები იცის!..

მაგრამ ქალი ატირდა და გული-ამოსკვნილი, ცრემლების ღაპალუპით, სლოკინით იმეორებდა:

— ნუ ამბობ მაგას... ნუ ამბობ... ეგ უბედურობას მოგვიტანს!.

— აბა დავიხოცოთ თუ რა?—დაიყვირა ქმარმა და დაჰკრა მუშტი მაგიდას,—ეშმაკმა იცის!

უბედურება მოხდა. ოთხი დღის შემდეგ ცოლს მუცელი მოეშალა, საშვილოს ანთება გაუჩნდა და საშინელის ტანჯვით დალია სული.

— და აი, ახლა მარტოდ მარტო ვარ ქვეყანაზე,—დაამთავრა თავისი მოთხრობა მებაღემ,—არა მყავს არც ცოლი, არც შვილი, აღარავინ... ვფიქრობდით შურის ძიებას.., დიაღ, დიდხანს ვფიქრობდი, მინდოდა მომეკლა ის ბაღში მოთამაშე სამი პაწია ბავშვი... მართალია, ბოროტი კაცი არ ვარ, მაგრამ იმ ქალის სამ ბავშს სიამოვნებით დავახრჩობდი... სიხარულით!.. ოო, დიაღ... მაგრამ ვერ გავბედე... რას უზამ, შენ თავს კაცი?..

**ნინო ნაკაშიძე.**

დაკმაყოფილდნენ რა ამით, ბიჭუნები წაცუნცულდნენ უკან.»

დაკმაყოფილდნენ!? დიდი ხნით კი? რომელი სოლომონ ბრძენი მიხვდება. რა გრძნობით წავიდნენ ბავშვები ციხიდამ, რა აზრები ტრიალებდა იმათ ბალღურ პაწია თავში?

პაშუტინსკები ხომ დღე-დღეზედ მრავლდებიან, ეს ბავშვების «საყვარელი ძიები». რითი გნებავთ ამომარკლოთ ისინი ხალხიდამ? ციხეში დამწყვდევით სიყვარულს ვერ აღმოფხვრი, ნამეტნავად პაწიებისას.

წინააღმდეგ ამ პაწიების სული და გული იყო და იქნება მათ მხარეს, ვისაც «ათრევენ და სტუქსავენ». დღეს ბავშვები წავლენ ჯავრითა და ნაღვლით სავსენი; ერთის, ორის, ხუთის წლის შემდეგ—ისინი მოვლენ სიმულვილით ბრაზ-მორეულნი. მაშინ-კი მათი გარეკა «სიცილით» ვეღარ მოხერხდება... **არაბა კენჭაძე.**

# რუსეთი

✦ **სტოლიპინის განკარგულება.** სტოლიპინმა შემდეგი განკარგულება გაუგზავნა ოდესსის გენერალ-გუბერნატორს: „პეტერბურგის სააგენტოს“ ცნობები მოდის, რომ პარტიული ბრძოლის გამო ამ ბოლო დროს გახშირდა ოდესსის ქუჩებში ხალხის ხოცვა-ჟლეტა. გავალებთ დაუყოვნებლივ საგანგებო ზომები მიიღოთ უწესოების ჩასაქრობად და სამართალში მისცეთ ყველა დამნაშავენი, პარტიების განურჩევლად.

✦ **გურკოს საქმე.** სახელმწიფო საბჭოს წევრებზე გურკოს მოხსენებამ და თავის გამართლებამ, რუსეთის გაზეთების სიტყვით, ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა, იმდენად დაუსაბუთებელი გამომდგარა. ზოგიერთმა წევრმა ის აზრი გამოსთქვა, რომ გურკოს საქმე უნდა მოვსპოთ და ამით ბოლო მოუღოთ ამ საქმის გამო ატეხილ მითქმა-მოთქმას. მემარცხენე პრესსა ერთობ აზვადებს გურკოს დანაშაულს. რასაკვირველია მთავრობაც უცხოდველი არ არის, იმის წრეშიაც გამოერევა ხოლმე შემცოდე წევრნი და სხვ. წევრთა უმრავლესობა კი იმ აზრს დაადგა, რომ საქმის მოსპობა დაგვიანებულია, რადგან ამით მითქმა-მოთქმის შეჩერება შეუძლებელია. უმთავრესი საგანი კი ის არის, რომ საქმე ჩვენ, სახელმწიფო საბჭოს, გადმოგვცა მეჯავრის დასადგენად. საბჭოს წევრები ბობედონოსცევსაც შეეკითხნენ თურმე და იმას უპასუხნია, თვითონ გურკო გასამართლებას თხოულობს და ამის უარყოფა უსამართლობა იქნებაო.

შემდეგ სახელმწიფო საბჭოს წევრებს ლაპარაკი ჩამოუგდიათ სამსახურიდან გურკოს გადაყენების შესახებ და ამ საგანს ერთობ ლმობიერად მოჰკიდებიან. ზოგს ის აზრი გამოუთქვამს, რომ გურკოს შეგვიძლია მხოლოდ გაუფრთხილებლობა და არა ანგარება დავწამოთ; იგი უკვე საქმეებს მოშორებულია და გადაყენება მეტი სასჯელი იქნებაო და სხვა.

გურკოს შემდეგ მიუგზავნეს ერთი მოხელე, რომელსაც უნდა დაეჯერებია იგი, რათა თავის ნებით ეთხოვნა დროებით სამსახურიდან გადაყენება. გურკომ ამ წინადადებაზე უარი განაცხადა, რასაკვირველია.

ნიჟეგოროდის გუბერნატორის ბარონ ფრედერიქსის შესახებ კი სხვანაირად მოქცეულა სახელმწიფო საბჭო: ჯერ გადაუწყვეტია ეცნობებია ფრედერიქსისათვის თავის ნებით გადამდგარიყო სამსახურიდან, შემდეგ კი თვითონ გადაუყენებია იგი.

გურკოს საქმის შესახებ დამატებითი გამოძიება დანიშნული, რადგან ბრალდებაში ერთი ისეთი მუხლია, რომლის ძალით გურკოს უფლება უნდა აჰხადონ და სატუსაღო როტაში გაგზავნონ.

✦ **პროფესსორების დეპეშა სტოლიპინთან.** ოდესის უნივერსიტეტის საბჭომ დეპეშით მიმართა სტოლიპინს. სთხოვს ყურადღება მიაქციოს იმ გარემოებას, რომ ამ ბოლო დროს ერთობ გამწვავდა ოდესსაში პოლიციელთა და შავ-რაზმელთა მიერ მოქალაქეებისა და სტუდენტების დევნა-წვალება. შეარაღებული შავრაზმელები თავს ესხმიან იმათ, შემდეგ კვალ-წმინდად, დაუსჯელად ჰქრებიან. ამას წინად პოლიციამ დაატუსაღა რამდენიმე სტუდენტი, რომელნიც თავდამსხმელ შავ-რაზმელებს ემალებოდნენ. ახლა ადმინისტრაცია იმუქრება თავისით სტუდენტებს სამხედრო სამართალში მიცემას. პროფესსორები სთხოვენ სტოლიპინს ამ საქმის პირუთვნელი, საჯარო გამოძიება დაანიშნოს.

✦ **ქალთა უმაღლესი კურსების შენობის გაჩხრეკა.** მოსკოვში პოლიციამ გაჩხრიკა ქალთა უმაღლესი კურსების შენობა, 150 პოლიციელი და ჟანდარმი იყო თავ-მოყრილი, ყველანი თოფებით შეიარაღებულნი. ყველა შესავალ კარებთან დარაჯები დააყენეს და შემდეგ მთელი ოთახები ააფორიაქეს. როგორც შემდეგ გამოირკვა პოლიცია იარაღისა და ყუმბარების საწყობს ეძებდა ქალთა უმაღლეს კურსების შენობაში.

## წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! ამას წინად გაზ. „ისარში“ დაბეჭდილი იყო ერთი კორესპონდენცია ცხინვალიდან ფსევდონიმით „ჭილ-ყვავი“. ამას თურმე დიდი მითქმა-მოთქმა გამოუწვევია ზოგიერთ წრეებში და ზოგიერთებს გაუვრცელებიათ, რომ ავტორი ამ წერილისა ვითომ მე ვიყო. ამით ვაცხადებ, რომ არავითარი კორესპონდენცია არ გამომიგზავნია და არც მეცალა მაგისთვის, ამას გარდა არც ფსევდონიმი „ჭილ-ყვავი“ მეკუთვნის მე. **სვიმონ მაჭავარიანი.**

რადგან ზოგჯერ ხაშურიდან მოწერილ კორესპონდენციის ავტორად ბევრს მე მვაჩნივარ, ამიტომ გთხოვთ შეძლება მომცეთ გამოვაცხადო, რომ მე რამდენიმე თვეც არის კორესპონდენცია აღარ გამომიგზავნია.

**გიორგი ალავერდისძე ჩარხაშვილი.**

# დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**ივანოვო ვოზნესენსკი** მექანიკურ ქარხნების მუშები გაიფიცნენ. 1500 მუშა ხელფასის 5% მომატებას და უქმეების წინა-დღით ორ საათზე მუშაობის გათავებას თხოულობს. ეფროსის სართავ ფაბრიკის მუშებიც გაიფიცნენ. 1000 მუშა 5% ხელფასის მომატებას თხოულობს.

**კოსტროველარი.** დაბა ფირშოში ჯარსა და ხალხს შუა შეტაკება მოხდა. 300 კაცი ხარჯის გასაწერ სამმართველოში ძალით შეჭრას სცდილობდა. ჯარი იძულებული იყო სროლა აეტეხა. ერთი კაცი მოკვდა და 6 დაიჭრა. ჯარისკაცთაგანიც რამოდენიმე დაჭრილია. არეულობა გადასახადების გაწერის ნიადაგზე მოხდა

**ირკუტსკი.** ადგილობრივ სადგურის ბარგის შესანახ სახლიდან დღისით 4000 მანეთის შაქარი მოიპარეს.

**ვარშავა.** რადგან ძარცვა-გლეჯა არა სცხრება, ბევრი მდიდარი ოჯახი ვარშავიდან საზღვარ-გარედ მიდის. ვარშაველ კაპიტალისტებმა შეიძინეს უძრავი ქონება ბერლინში, ბრესლავში, ფრანკფურტში, ვისბადენში და სხვა ქალაქებში, სადაც თავიანთ ცოლ-შვილით ესახლებიან.

**ლონდონი.** 31 იანვარს სუფრაჟისტკების ლიგა, რომელიც დედა-კაცების უფლების მამა-კაცებთან გათანასწორებაზე იბრძვის, პარლამენტს შემოეხვია და ძლიერი მანიფესტაცია გამართა. მანიფესტაცია ხუთ საათს გაგრძელდა. ცხენოსანმა პოლიციამ მანიფესტანტები გაფანტა. მანიფესტაციაში 800 ქალი იღებდა მონაწილეობას. ბევრი დააპატიმრეს. მეორე დღეს ისინი გაასამართლეს. ბრალდებულებმა პროტესტი განაცხადეს, რომ მათ ასამართლებენ იმ კანონის ძალით, რომელიც მხოლოდ მამაკაცების მიერ არის შედგენილი. სასამართლომ თვითეულ დამნაშავეს 20 გირვანქა სტერლინგი ჯარიმა ან 3 კვირა საპატიმროში ჯდომა გადაუწყვიტა. ყველამ საპატიმრო აირჩია.

**პეტერბურგი.** იუსტიციის მინისტრმა მინისტრთა საბჭოში კანონ-პროექტი შეიტანა, რომელიც ქალებით ვაჭრობის და გაუყვნის წინააღმდეგაა მიმართული.

**კენიგსბერგი** პოლონეთის სკოლებში გაფიცვების მოსასპობად მთავრობა ადგილობრივ მოხელეებს ფიცხელ მოწერილობას უგზავნის, სადაც სწერს, რომ ყველა ვინც გაფიცვას ხელს უწყობს, სასტიკად დისჯის ხოლმე.

**ფეოდოსია.** სამხედრო წესები გაძლიერებულ დაცვად შესცვალეს.

**კრასნოიარსკი.** ქალაქიდან 20 ვერსტის მანძილზე 10 შეიარაღებული კაცი ფულის მზოჭვერს, რომელსაც 12,000 მანეთი მიჰქონდა, თავს დაესხა. გაიმართა სროლა. მეტლე და დარაჯი მძიმედ დაჰჭრეს მზოჭვერა ბრაუნინგი 40 ჯერ გაისროლა, ერთ ერთ ცხენზე შეჯდა და მახლობელ სოფელში გაიქცა. ფულები უკლებლადაა. ჰფიქრობენ, რომ მძარცავთაგანიც რამოდენიმე მოკლული უნდა იყოს.

**ლონდონი** მინისტრთა ბირელმა პალატას შეატყობინა, რომ მთავრობას აზრადა აქვს, ირლანდიაში საბჭოს დაარსების შესახებ პროექტი წარმოადგინოს. ჯერ ფიქრობენ, რომ საბჭოში მეტი წილი დანიშნული წევრები ყოფილიყვნენ, მაგრამ ახლა მთავრობა არჩევს კითხვას და ფიქრობს, რომ წევრთა უმრავლესობა არჩეულებს არგუნოს.

**ლოძი.** ტომაშევიდან იუწყებიან, რომ პოსად ჟაზდში ცეცხლმა 11 იმსხვერპლა, 10 კაცი დაილუპა.

**ტოკიო.** ინგლის-იაპონიის შეკავშირების წლის თავზე ბანკეტი გამართეს, რომელსაც იაპონიის მინისტრები და ინგლისის საელჩოს წევრები დაესწრენ. გაიაშიმ სთქვა: ინგლის-იაპონელებ შორის მეგობრობა და პატივისცემა ძლიერდება და კავშირის მნიშვნელობა იზრდებაო. ბრიტანიის რწმუნებულმა განაცხადა: ბრიტანიის ახლანდელი მთავრობა ძლიერი მფარველია კავშირისა და ყოველ ღონე ხმარობს, რომ ხელ-შეკრულებაში აღნიშნული მოვალეობა განხორციელდეს. მთლად ბრიტანიის ერიც ამ აზრისა არისო.

**ლონდონი.** პალატაში ირლანდიის საქმეების სტატს-სეკრეტარმა განაცხადა: სრულიად ვეთანხმებ პირველ მინისტრის აზრს, რომ ირლანდიის ხალხის დიდ უმრავლესობას მხოლოდ ჰომრული, (საკუთარი პარლამენტი) დააკმაყოფილებს. ამიტომ სხვა რამ საშუალებით ირლანდიელების დაკმაყოფილებას მე თავისს თავზე ვერ მივიღებ. ვიმედოვნებ, რომ ჩქარა დადგება ის დრო, როცა ირლანდია შეიქნება ძლიერი ნაწილი დიდ-ბრიტანიისა, ბრიტანიის სასიქადულოდ და თვით ირლანდიის საიხარულოდაო.

**ქეჩი.** გრადონაჩალნიკმა, უმაღლესი ბრძანებით, სამხედრო წესები ერთი წლის ვადით გაძლიერებულ დაცვად შეიცვალა.

**კიევი.** სამხედრო წესები მოხსნეს, გაძლიერებული დაცვად შესცვალეს.

**პეტერბურგი.** გამოცხადებულია: 1) გაძლიერებული დაცვა სამხედრო წესის მაგიერ მთლად კიევის გუბერნიაში, ბარანოვიჩში, ფეოდოსიაში, სუმში მაზრითურთ, ქერჩ-ენიკოლის საგრადონაჩალნიკოში. 2) სტავროპოლში საგანგებო დაცვის წესები გრძელდება, სამ მაზრაში კი, საგანგებო წესები გაძლიერებულად შეიცვალა. 3) ქალ. ბიისკში მაზრითურთ გაძლიერებული დაცვა, საგანგებო დაცვად შეიცვალა, 4) ჩერნიგოვის გუბერნიაში გაძლიერებული დაცვის წესები გრძელდება.

სახალხ. სოციალისტების ლიდერი ნ. ფ. ანნენსკი გამომძიებელმა დაიბარა. მას 51 და 126 მუხლის ძალით დანაშაულს სდებენ. 500 მანეთი გირაო დაატოვებინეს და განათავისუფლეს.

**ვარშავა.** იანვარში 2 პოლიციელი მოჰკლეს, 1 ჯარის კაცი და 2 პოლიციელი დაჰჭრეს, გაძარცვეს 5 საარყე დუქანი. გაჩხრეკის დროს აღმოაჩინეს 5 ყუმბარა, 3 თოფი, 29 რევოლვერი, 3000 პატრონი. გადაასახლეს შორეულ გუბერნიაში 85 კაცი; თავიანთ სამშობლოში ყარაულ ქვეშ გაგზავნეს 262 კაცი.

**ივანო-ვოზნესენსკი.** სამექანიკო ქარხნებში გაფიცვა გაიაფდა. მუშების მოთხოვნილება დააკმაყოფილეს.

**ბაქო.** გაზ. „კასპ“-ში მოთავსებულია წერილი ამ სათაურით: „ლოკაუტი ბაქოში“, რომელიც მკაცრად კიცხავს პეტერბურგის სააგენტოს დეპეშას სომხების ნავთის საწარმოვო ფირმებში გაფიცვის შესახებ. სააგენტო ცდილობს მუშათა კითხვა ნაციონალურ ნიადაგზე დააყენოსო. გაზეთის აზრით, კორესპონდენცის ცნობა, ვითომ გაფიცვა არჩევნების გულისთვის დაშნაკლებმა მოახდინეს, სიმართლეს მოკლებულია. საუბედუროდ გაფიცვას ამ ნაირი ხასიათი მტკიცდება: 1) გაფიცვა სომხების ფირმებში მოხდა, 2) სომხის (დაშნაკელების) გაზეთმა „დროშაკ“-მა გამოაცხადა, მირზოევის ფირმაში გაფიცვა მოხდაო. 3) სომხის პროგრესისტების გაზეთ „მშაკ“-ში დეპეშა იყო, 28 იანვრიდან, რომ გაფიცვა გრძელდება უმთავრესად სომხების ფირმებში და ფირმებიც მოლაპარაკებას მართავენ, რომ წარმოება იჯარით გასცენ არა სომხების ფირმებსაო, 4) უსაქმოდ დარჩენილ სომხებმა პროკლამაცია გამოუშვეს, სადაც სთხოვენ მუშა-სომხებს, გაფიცვა მოსპონ.

**მაინის-ფრანკფურტი.** 2 თებერვალს ვისბადენიდან მოსულ მატარებლის მეორე კლასში რაღაც ქაღალდში შეხვეული რგვალი ნივთი იპოვნეს. პოლიციამ ნივთი განაუს თოფის წამლის ქარხანაში გაგზავნა გამოსაკვლევად. ნივთი ნამდვილი ყუმბარა აღმოჩნდა, მეერული (?) წამლით და შრაპნელით სავსე. პატრონი ვერ იპოვნეს. პატრონის აღმოსაჩენად ზომები მიღებულია.

**ვარშავა.** 1 თებერვალს ზავრუევსკი და ისააკოვსკი და ვოლსკი სიკვდილით დასაჯეს. მათ ვარშავის მაზრაში გლეხის სახლ კარის თავ-დასხმას აბრალებდნენ.

**ლონდონი.** დიკინსონმა წარუდგინა პალატას კანონ-პროექტი, რომ ქალებსაც მიეცესთ საარჩევნო უფლება.

რედაქტორ-გამომცემელი

**ივ. ი. მჭედლიშვილი.**


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო

**დოქ. ნავასარდიანისა**

(დაარსებულია 1880 წ.)

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ყოველ დღე, კვირეებს გარდა.

**დ ი ლ ი თ:**

**ზ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგ., ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

**გ. მ. ჩიქოვანი:** $9^{1}/_{2}$—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ფ. ი. ზაზანაშოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.

**მ. გ. აველიხიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. მუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**გ. ი. გმელიშვილი:** 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**ა. პ. გარაპედიანცი:** 1—$1^{1}/_{2}$ ს. შინაგანი და საბავშვო.

**ა. ი. უჩერზინინა:** $1^{1}/_{2}$—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**გ. ი. გურგენოვი;** 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**გ. ი. გმელიშვილი** $6^{1}/_{2}$—$7^{1}/_{2}$.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანი.**

(150—ხალ.—19)

## კბილის საექიმოს სკოლა ლ. შტრაიხერისა

**გადვიდა** ერევნის მოედანზე (პუშკინის ქუჩა, № 3), საკრედიტო საზოგადოების სახლში.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8 საათიდან საღამოს 7-მდე. კვირაობით დილის 9 საათიდან 1-მდე. ფასი შემდეგის ნიხრით: რჩევისათვის ან კბილის ამოღებისათვის (ძირისა)—20 კაპ.; პლომბა 50 კაპეიკიდან; ხელოვნურ კბილის ჩაყენიბა—3 მანეთი თითო კბილის სალოსტაქრო ოპერაციებსაც აკეთებენ. (100—62)

**ნამდვილი კახური ღვინო**

ღვინის ქარხანა

ТОВАРИЩЕСТВО КАХЕТИНСКИХЪ ВИНОГРАДАРЕЙ

„ДЗМОБА“ „ძმობა“

ვაჭრობა

ТЕЛЕФОНЪ №1036.

въ ТИФЛИСЪ.

ГОЛОВИНСКІЙ ПРОСПЕКТЪ д. ...

წინანდლის სახლი

ფასები ყველასათვის ხელმისაწვდენი. (100—18)

კომისიონერი მიწათ-მოქმედების და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროსი

## მ. ე. ფრიდონოვი



ტფილისი, სერგიევის ქუჩა, № 11.

აწვდის მსურველთ ვენახისა და ბაღების სამკურნალო წამლებს:

შაბიამანს ინგლისის საუკეთესო მარკისას; გოგირდს გაუმჯობესებულს საკუთარ საშუალებით; შესასხურებელს **ვერმორელის** სისტემისას; „ტოროპილებს“, საბერველება, აგრეთვე ყოველგვარ იარაღს საბაღო და სასარდაფო მეურნეობისათვის, მაგალითად: ტუმბოებს, ფილტრებს, საქაჯავს, სეკატორებს, დანებს და სხვას.

შეიძლება დაკვეთა ხილის ხეებისა საკუთარ სანერგედან სადგურ **„სკრასთან“**. ქართული კატალოგები მსურველთ სახლში ეგზავნებათ. განყოფილება **ქუთაისში „კოლხიდასთან“**. (50—751—14

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს დაქვემდებარებული

## საბუღალტერო კურსები

**ნ. ვ. აბრამიანისა,**

ავტორის „Руководство торг. фабр. и нефтепр. бухгалтеріи“-ს. რომელიც მოწონებულია ფინანსთა სამინისტროს სამეცნიერო განყოფ., როგორც დამხმარე სახელმძღვანელო საკომერ. სასწავლებლისა და მათ ბიბლიოთეკებში.

**ასწავლიან და ამზადებენ ქალებს და კაცებს** 4 თვეში ბუხჰალტერიის პრაქტიკის შემწეობით.

კურსებზე მიღებულ საგნებს გარდა წლევანდელ სამოსწავლო წლიდან უფასოდ ასწავლიან **პოლიტიკურ ეკონომიას**—როგორც ახალ საგანს კურსებისთვის, და **სტენოგრაფიას** (განსაკუთრებულ ფასით მსურველთათვის).

სწავლის დაწყება 1907 წლის 15 იანვრიდან დროგამოშვებით ყოველ 4 თვის შემდეგ. სწავლა ყოველ დღე ნასადილევს. თხოვნები მიიღება ყოველ დღე: საღამოთი 5—7 ს., დილით 9—10 ს. სწავლის გათავების შემდეგ ეძლევათ დაწესებული ატესტატი, დამტკიცებული ფინ. მინისტრის მიერ.

ამას გარდა, კურსებთან იმათვის, ვინც ნაკლებ არის მომზადებული, დაარსდა განსაკუთრებული კურსები რუსული ენა და არითმეტიკისა,

წესები და პროგრამები მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ.

მსურველთ ვთხოვთ მიმართონ წერილობით ან პირადად კურსების დამაარსებელს ტფილისში: **ნიკოლოზის ქ.**, 22 **ტელეფონი** 744.

ზემოდ დასახელებული სახელმძღვანელო იყიდება რუსეთის ყველა წიგნის მაღაზიაში. ვინც ავტორისაგან გამოიწერს—ფასს-დასადებ გადასახადს არ გაიღებს. ფასი 3 მან. 50 კაპ.

12—ხალ.—11)

**Открыта подписка на 1907 годъ**

**на газету**

# ЗАКАВКАЗЬЕ

ПОДПИСНАЯ ЦѢНА: на годъ 8 руб., на 6 мѣс.—5 руб., помѣсячно—1 руб.
Плата за объявленія: впереди текста за строку петита 15 коп. послѣ текста 8 коп.
Тифлисъ, Головинскій пр., д. Пондоева. рядомъ съ городской аптекой.

Редакторъ-издатель **П. А. ГОТУА**


სტამბა „იდეალი“ (მ. დ. კიკნაძისა) ნიკოლოზის ქ. № 6.